

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 19 მაისის №01-06/05  
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შოთა ბერიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე



## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №

2020 წლის -- მაისი  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძე) შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შემდეგი უძრავი ქონების გადაცემაზე **კერძოდ:**

ა) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე 1220 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ21.01.37.471);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში მდებარე 702 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 21.09.34.236) არსებული ორი ერთეული შენობა-ნაგებობის №1 – 43.2 კვ.მ საერთო ფართი და №2 – 21.06 კვ.მ საერთო ფართი;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1-ში (პარკი) მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ21.01.37.327) არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების სამი ერთეული შენობა-ნაგებობა - კერძოდ: №01/1 საერთო ფართი – 217.5 კვ.მ; №02/1 საერთო ფართი – 72.1 კვ.მ და №03/1 საერთო ფართი – 47.0 კვ.მ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილი №13 განკარგულება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**შუქრი თურმანიძე**

# განმარტებითი ბარათი

## ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილი №13 განკარგულებაში მითითებული ქონების გადაცემის ვადის ცვლილება, რადგან მითითებული 5 წლის ვადა არ არის საკმარისი შემდეგი გარემოებათა გამო, კერძოდ: ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმართულება არის ტურიზმის სფეროში ადგილობრივ დონეზე დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. ასევე, ადგილობრივი თუ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი განაცხადების წარდგენა გრანტის მოპოვებაზე. საგრანტო კონკურსების ერთ-ერთ ძირითადი მოთხოვნა არის ქონება - რომელსაც ორგანიზაცია უნდა ფლობდეს თუნდაც სარგებლობის უფლებით მინიმუმ 5 წელზე მეტი ვადით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ზემოთ დასახელებულ განკარგულებაში ასახული ვადის ცვლილება და მისი გაზრდა 15 წლამდე, ასევე დაზუსტებული იქნა უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემები, აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით განმეორებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწვესის დასახლება) მუნიციპალური ბიუჯეტით მოეწყო და რეგისტრირებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებად ავტომობილების პარკირების ტერიტორია, სადაც დამონტაჟებულია დისტანციური პულტით მართვადი ვერტიკალური ბარიერები და პარკში მდებარე ორი საპირფარეშო. ვინაიდან აწვესის ტერიტორია წარმოადგენს ტურისტულად აქტიურ ადგილს, დასახელებული ობიექტების შემდგომი მოვლაშენახვისა

და მისი გამართულად ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ქონება 15 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს შპს შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრს“. კერძოდ: სოფელ ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე, აჭარულ ღვინის სახლთან, ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს არსებული ავტოსადგომი, რომელიც რეგისტრირებულია ორ ნაკვეთად (ს/კ 21.01.37.471. 1220 კვ. მეტრი; და პარკში (ს/კ21.01.37.327) არსებული სამი ერთეული შენობა-ნაგებობა - კერძოდ: №01/1 საერთო ფართი – 217.5 კვ.მ; №02/1 საერთო ფართი – 72.1 კვ.მ და №03/1 საერთო ფართი – 47.0 კვ.მ. ასევე სოფელ დანდალოში, ისტორიულ თაღოვან ხიდთან არსებული 702 კვ მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.09.34.236) არსებული N1 შენობა - 43,2 კვ. მეტრი და N2 შენობა 21,06 კვ.

იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო აზომვითი ნახაზი რომელიც თან ერთვის დოკუმენტაციას.

**ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების, კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე 1220 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ21.01.37.471);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში მდებარე 702 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 21.09.34.236) არსებული ორი ერთეული შენობა-ნაგებობის №1 – 43.2 კვ.მ საერთო ფართი და №2 – 21.06 კვ.მ საერთო ფართი;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1-ში (პარკი) მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ21.01.37.327) არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების სამი ერთეული შენობა-ნაგებობა - კერძოდ: №01/1 საერთო ფართი – 217.5 კვ.მ; №02/1 საერთო ფართი – 72.1 კვ.მ და №03/1 საერთო ფართი – 47.0 კვ.მ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

ხოლო განკარგულების მე-2 პუნქტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილი №13 განკარგულება.

**ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:**

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საჭიროებებიდან გამომდინარე 2020 წლის 30 მაისამდე შეძლოს აღნიშნული საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება, მათ შორის უსასყიდლო უზუფრუქტის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

**ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**

**ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების სარგებლობის საფასურს, რომლის ოდენობაც დადგინდება აღნიშნული ქონების სარგებლობისათვის შემდგომი მომსახურების გაწევის დროს.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ს. ბოლქვაძე .

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882019976358 - 22/11/2019 16:19:00

მომზადების თარიღი  
27/11/2019 19:10:39

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქელა	დანდალო			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
<b>21</b>	<b>09</b>	<b>34</b>	<b>236</b>	დამუსგებული ფართობი: 702.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი ქელა, სოფელი დანდალო				ნაკვეთის წინა ნომერი:
				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1
				ფართობი: 43.2 კვ.მ N2- ფართობი: 21.06 კვ.მ

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019976358 , თარიღი 22/11/2019 16:19:00  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/11/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N432 , დამოწმების თარიღი: 13/11/2019 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 246762061

მესაკუთრე:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაფხეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)





### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020239037 - 11/05/2020 15:44:10

მომზადების თარიღი  
11/05/2020 15:46:21

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქელა	მახუნცეთი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
<b>21</b>	<b>01</b>	<b>37</b>	<b>327</b>	დამუსგებული ფართობი: 9024.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი ქელა, სოფელი ქველა მახუნცეთი, ქუჩა 5, ჩიხი I, N 1, პარკი				ნაკვეთის წინა ნომერი:
				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 217.5 კვ.მ., N2 საერთო ფართობით 72.1 კვ.მ. N3 საერთო ფართობით - 47 კვ.მ

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019081880 , თარიღი 06/02/2019 14:46:01  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/02/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N170 , დამოწმების თარიღი:04/02/2019 , ქელის მუნიციპალიტეტის მერია
- განკარგულება N01-20/143 , დამოწმების თარიღი:27/09/2013 , ქელის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- წერილი N01-30/105 , დამოწმების თარიღი:10/10/2013 , ქელის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

საგადასახლო გირაენობა:

რეგისტრირებული არ არის

### იპოთეკა ვაღდებულება


ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის


მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."


- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაყვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



შენიშვნა №02/1



შენიშვნა №03/1



ექსპლიკაცია

- შენიშვნა №01/1: 217.5 მ<sup>2</sup>
- შენიშვნა №02/1: 72.1 მ<sup>2</sup>
- შენიშვნა №03/1: 47.0 მ<sup>2</sup>
- საერთო ფართობი: 336.6 მ<sup>2</sup>

თანამდებობა	სახელი გვარი	სახელი გვარი	პროექტის სახელწოდება:
შ.პ.ს. „დია-3“-ის დირექტორი	მ. გოგიტიძე	მ. გოგიტიძე	სახელმწიფო სახელმწიფო ტექნიკური ნახაზი
კომპიუტერული გრაფიკა:	ჯ. დიასხაძე	ჯ. დიასხაძე	შეკეთებულია ქვემოთ მოხსენიებული მშენებლის მიერ
			სახელმწიფო ტექნიკური ნახაზი
			ფურცლები
			ფურცლები
			ფურცლები
			ფურცლები





### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882017708812 - 07/08/2017 12:48:37

მომზადების თარიღი  
09/08/2017 16:08:36

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ქელა	მახუნცეთი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
21	01	37	471	დაზუსტებული ფართობი: 1220.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი ქელა , სოფელი ქველა მახუნცეთი				ნაკვეთის წინა ნომერი:21.01.37.018;

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011245997 , თარიღი 25/05/2011 12:29:03

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1-1/695 , დამოწმების თარიღი:06/05/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- ბრძანება N1404 , დამოწმების თარიღი:07/08/2017 , ქელის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- ბრძანება N1340 , დამოწმების თარიღი:21/08/2017 , ქელის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N173/01-19 , დამოწმების თარიღი:23/05/2011 , ქელის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:

სსიპ თვითმმართველი თემი ქელის მუნიციპალიტეტი ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:

სსიპ თვითმმართველი თემი ქელის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დოკუმენტის ნამდილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნი, ეური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაფსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- ოქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: 21.01.37.471

ნაკვეთის დანიშნულება:

არასასოფლო სამეურნეო


განცხადების ნომერი: 882017708812

ფართობი:

1221 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: 09/08/2017

1220 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)



05/25	მშენებარე ნაგებობა	05/25	შენობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		სამთბრივი ნაგებობა		ვალდებულება



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882017987450 - 18/10/2017 16:14:08

მომზადების თარიღი  
20/10/2017 17:36:43

#### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ქელა	მახუნცეთი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
<b>21</b>	<b>01</b>	<b>37</b>	<b>519</b>	დამუსტებული ფართობი: 689.00 კვ.მ.
მისამართი: მუნიციპალიტეტი ქელა , სოფელი მახუნცეთი				ნაკვეთის წინა ნომერი:

#### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017987450 , თარიღი 18/10/2017 16:14:08  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-690, დამოწმების თარიღი: 17/10/2017 , სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:  
სახელმწიფო

მესაკუთრე: \_\_\_\_\_ აღწერა:  
სახელმწიფო

#### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:  
რეგისტრირებული არ არის

#### ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:  
რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:  
რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საქარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)





# საკადასტრო გეგმა

საკარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: 21.01.37.519

ნაკვეთის დანიშნულება:

არასასოფლო საშენი ნაკვეთი


განცხადების ნომერი: 882017987450

ფართობი:

690 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: 20/10/2017

689 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)





# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **21.09.34.236**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო სამეურნეო

განცხადების ნომერი: **882019603986**

ფართობი:

**702 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

მომზადების თარიღი: **26/07/2019**



05/25 მშენებარე ნაგებობა	05/25 მენობა/ნაგებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	საზოგადოებრივი ნაგებობა	ვალდებულება



# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **21.01.37.327**

ნაკვეთის დანიშნულება:

არასასოფლო სამეურნეო


განცხადების ნომერი: **882020237654**

ფართობი:

9024 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

9022 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)

მომზადების თარიღი: **10/05/2020**



05/25 მშენებარე ნაკებობა	05/25 მენობა/ნაკებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	საზომრივი ნაკებობა	ვალდებულება



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №

2020 წლის -- მაისი  
დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძეს).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358)

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

დანართი №1

ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენიშვნა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწესი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.0	21.03.35.005	106233.00	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი ახო	ქედის მუნიციპალიტეტი		550.00	21.08.34.022	1485.00	
7	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი ცხმორისი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
8	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი ზვარე	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
9	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
10	საწვავის ცისტერნა (25 ტონიანი) 4 ცალი	დაბა ქედა	ქედის მუნიციპალიტეტი				1000.00	
11	რკინის საწოლი - 46 ცალი	დაბა ქედა	ქედის მუნიციპალიტეტი				138.00	
12	ავტომანქანა უაზი (ჯართის სახით)	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
13	ავტომანქანა უაზი (სასწრაფო) (GMB-973)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4500.00	
14	ავტომანქანა ნივა ვაზ. 2121 (BAX-215)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				550.00	
15	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დ.ქედა, 9 აპრილის ქ.	ქედის მუნიციპალიტეტი		40.00	21.03.35.425	560.00	

16	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ქვედა მახუნციეთი (აწვესი)	ქედის მუნიციპალიტეტი		185.00	21.01.37.655	3700.00	
17	ყოფილი უნივერსიტეტის საწყობი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის N10	ქედის მუნიციპალიტეტი		119.9	21.03.33.016.01.506	7793.50	
18	ყოფილი საწყობი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის N10	ქედის მუნიციპალიტეტი		107.45	21.03.33.016.01.502	6457.00	
19	ყოფილი საკონდიტრო სამქრო	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის N10	ქედის მუნიციპალიტეტი		50.4	21.03.33.016.01.503	3024.00	
20	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. გულები	ქედის მუნიციპალიტეტი		293.00	21.03.34.501	1700.00	

# განმარტებითი ბარათი

## ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტი შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცებას და დამტკიცებულ ნუსხაში ცვლილებების შეტანას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოს წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული ან საჯარო აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე;

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის N33 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, სადაც შეტანილია 22 ერთეული ქონება. საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში შეტანილია ერთი ერთეული ქონების, კერძოდ: სოფელ გულებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 293 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.34.501). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1700 ლარად (იხ. აუდიტის დასკვნა). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. სადაც განთავსდება საწარმოო დანიშნულების და მომსახურების ობიექტი, რომელშიც დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და მცირე საწარმოს ან, მომსახურების ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული უძრავი ქონება შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში.

საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი N20 ქონების, ყოფილი უნივერსიტეტის საწყობის ფართი დაზუსტდა და ნაცვლად 139 კვ. მეტრისა შეადგინა 119,9 კვ. მეტრი, შესაბამისად შემცირდა შეფასების თანხა და ნაცვლად 8360 ლარისა შეადგინა 7793,5 ლარი.

ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია სამი ერთეული ქონება (N15; N18; N19) რომლებიც გაყიდულია ელექტრონული აუქციონის გზით. კერძოდ: დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქ. N7-ში მდებარე 96,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.33.325), სოფ. ზესოფელში (კოლომბრისი) მდებარე 150,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.06.32.177) და ვტომანქანა უაზი-31519 (WWS-979).

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებული დანართიდან უნდა განხორციელდეს მე-15; მე-18 და მე-19 ნუმერაციით არსებული ქონების ამოღება.

ასევე ნუსხას უნდა დაემატოს პრივატიზების მიზნით, ერთი ერთეული ქონება, კერძოდ:

1. სოფელ გულებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 293 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.34.501). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1700 ლარად.

ზემოაღნიშნული ქონების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია აუდიტის დასკვნა, სარეგისტრაციო დოკუმენტები, თან ერთვის განკარგულების პროექტს დანართის სახით.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დამტკიცებულ „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხაში ცვლილების შეტანა კერძოდ, დანართი №1-ს ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილია განკარგულების პროექტზე თანდართული რედაქციით, რომლის შესაბამისად საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობა განისაზღვრა 20 - ერთეულად და წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

**ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:**

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადების ერთ თვიანი მომსახურების პაკეტი შესყიდული აქვს მიმდინარე წელში, რომლის ვადაც იწურება, შესაბამისად აუქციონის გამოცხადება და მისი დასრულება აღნიშნულ ვადაში უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარე აუცილებლობა მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიმდინარე ვადაში დროულად განახორციელოს დაგეგმილი აუქციონის გამოცხადება.

**ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**

**ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს პრივატიზაციის შედეგად გასხვისებული ქონების საფასურს, რომლის ოდენობაც დაფიქსირდება აუქციონის საბოლოო შედეგის დროს.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (ს. ბოლქვაძე).

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.





შპს აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტი

## AUDIT "LAZIKA AUDIT" LLC

ქ. თბილისი, ვარკეთილისმე-2 მ/რკორპ. #9 ბინა #102; ტელ.: 599 951074;  
Tbilisi, varketili 2 m/r, building 9, Apartment 102; Tel.: 599 951074;

#20/142

5.05.2020 წ.

### აუდიტორული(საშემფასებლო)დასკვნა

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის(ს/კ 246762061) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: 1.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 293 კვ.მ.- მდებარე მისამართზე:ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.გულეზი.საკადასტრო კოდი:21.03.34.501. შეფასების შესახებ

შპს აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტის, (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-104301. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მასივი ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, კორპუსი 9, ბინა 102 საიდენტიფიკაციო კოდი 400032674, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 23.12.2011 წელი, #B 12034503 მარეგისტრირებული ორგანო - საქარო რეესტრი) აუდიტორების დაშემფასებლების:

1.ზარანდია მამუკა (პ/ნ 19001059180) – სერთიფიკატი № #6/150, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 5 მარტი 2012 წ.(ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-355180);

2. ბუკია თამაზი (პ/ნ 19001054047) –(შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერთიფიკატის N-A0597).

მიერ ჩატარდა აუდიტორული შეფასება საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

## 1. შეფასების ობიექტების აღწერა

წინამდებარე დასკვნა წარმოადგენს საშემფასებლო ანგარიშის შემაჯამებელ დოკუმენტს, რომლის მიზანია შესრულებული საშემფასებლო სამუშაოების შედეგების მიმოხილვა და დასკვნითი დებულებების სახით, ანგარიშის მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება.

შეფასება ჩატარებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოცემული 2017 წელს ქართულ ენაზე თარგმნილი (IVS 2017) გამოცემის შესაბამისად.

შემფასებელი ადასტურებს შემდეგს :

- დასკვნაში გადმოცემული შედეგები ეფუძნება შემფასებლის ცოდნას;
- ჩატარებული ანალიზი და დასკვნები შეზღუდულია მხოლოდ მასში აღნიშნული შემზღუდავი პირობებით და დაშვებებით;
- შემფასებელს არ გააჩნია შესაფასებელი ქონების მიმართ ინტერესი;
- შემფასებლის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული დასკვნის არც ერთ ასპექტზე;
- შეფასება ჩატარებულია ეთიკის კოდექსის და ქვეყის სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- შემფასებლის განათლება შეესაბამისება აუცილებელ მოთხოვნებს;
- შემფასებელს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება.

მოცემული დასკვნა მომზადებულია მხოლოდ შესაფასებელი ქონების ღირებულების შესახებ თქვენი ინფორმირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური სიზუსტით შეფასება შეუძლებელია, რადგან შეფასების შედეგად დგინდება მხოლოდ სავარაუდო ღირებულება, აისახება შემფასებლის დასაბუთებული აზრი ქონების ღირებულების შესახებ და არა ფასი. ფასი არის ფაქტი, უკვე განხორციელებული გარიგების შედეგად დაფიქსირებული თანხა.

ამდენად, შეფასებული ღირებულება შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს უკვე მომხდარი ან მოსახდენი გარიგების შედეგად დაფიქსირებულ/დასაფიქსირებელ თანხაზე. ჩვენი შეფასების ზღვრული ცდომილება შეადგენს 10-15%-ს.

## 2. შეფასების მეთოდოლოგია

### 2.1 საბაზრო ღირებულების შეფასება

საბაზრო ღირებულების დეფინიცია

საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომლითაც გაიკვლიება

გამყიდველს შორის „გაშლილი მკლავის“ პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს განვითარებისთვის, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე.

ტერმინი „ქონება“ გამოიყენება იმიტომ, რომ სტანდარტების ყურადღების ცენტრში მდებარეობს ქონების შეფასება. იმის გამო, რომ ეს სტანდარტები მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასაც, ამ განმარტების გამოყენებისას შესაძლებელია ცნება „ქონების“ შეცვლა ცნებით „აქტივით“ მოცემული განსაზღვრების თითოეულ ელემენტს გააჩნია საკუთარის აზრობრივი (გაგების) ჩარჩოები:

„გამოთვლადი ფულადი სიდიდე“ მიეკუთვნება ფასს, გამოხატულს ფულადი ექვივალენტით (როგორც წესი ადგილობრივ ვალუტაში), რომელიც შეიძლება გადახდილ იქნას ქონებაში კომერციული საბაზრო გარიგების შედეგად. საბაზრო ღირებულების საზომს წარმოადგენს ყველაზე სავარაუდო ფასი, რომელიც გონებრივი მოსაზრებით შეიძლება მიღებულ იქნას შეფასების თარიღისთვის ბაზარზე საბაზრო ღირებულების განმარტებაში განსაზღვრული პირობების დაცვით, ეს არის საუკეთესო ფასი გონებრივი მოსაზრებებიდან ყველა მისაღები ფასებიდან გამყიდველისათვის და ყველაზე მისაღწევი-მყიდველისათვის. ამ ფასის გაანგარიშებისას, კერძოდ არ გაითვალისწინება ფასები, რომლებიც აწეულია ან დაკლებულია ისეთი განსაკუთრებული მიზეზების ან გარემოებების გამო როგორებიცაა ფინანსირების არატიპიური ფორმა, გაყიდვა ქონების უკან იჯარის აღების მიღებით, გარიგებაში მონაწილე რომელიმე მხარის მიერ შეთავაზებული სპეციალური კომპენსაციები და დათმობები, ან სპეციალური ღირებულების ნებისმიერი ელემენტი.

„რომლითაც შეფასების თარიღისთვის გაიცვლება ქონება“ მიანიშნებს იმ გარემოებებზე, რომ ქონების ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად სიდიდეს და არა წინასწარ განსაზღვრულ ან ფაქტიურ გასაყიდ ფასს. ეს არის ფასი, რომლის მიხედვითაც ბაზარი ელოდება გარიგებას შეფასების თარიღისთვის საბაზრო ღირებულების განმარტებაში განსაზღვრული ყველა სხვა პირობების დაცვით.

„შეფასების თარიღისთვის“ ასახავს მოთხოვნას, რათა საბაზრო ღირებულების გამოთვლადი სიდიდე მიეკუთვნოს კონკრეტულ თარიღს. იმის გამო რომ ბაზრები და საბაზრო პირობები შეიძლება შეიცვალოს, სხვა თარიღისთვის გამოთვლადი ღირებულება შეიძლება აღმოჩნდეს არასწორი და არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. შეფასების შედეგი ასახავს ბაზრის მიმდინარე მდგომარეობას და პირობებს შეფასების თარიღისთვის, და არა მომავალი ან წარსული თარიღისთვის. განმარტება აგრეთვე გულისხმობს რომ აქტივის ხელიდან ხელში გადასვლა და გარიგება ხდება ერთდროულად ფასის ვარიაციების გარეშე, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდნენ.

„დაინტერესებულ მყიდველს“ მიეკუთვნება ის, ვისაც გააჩნია მოტივაცია იყიდოს, მაგრამ მას ამისთვის არაფერი არ უზიძგებს. ასეთი მყიდველი არ იწვის სურვილით იყიდოს და გადაიხადოს ნებისმიერი ფასი, გარდა ამისა, რომ ის ახორციელებს რა ყიდვას მოქმედებს რეალური ბაზრის რეალიების და მოლოდინის შესაბამისად და არა წარმოსახვითი და ჰიპოტეტური ბაზრიდან გამომდინარე, რომლის არსებობა არ შეიძლება დემონსტრირებულ და განჭვრეტულ იქნას. მოსალოდნელი მყიდველი არ გადაიხდის იმაზე მეტ თანხას, რასაც მოითხოვს ბაზარი. ეხლანდელი მფლობელი შედის იმათ რიცხვში, რომლების შეადგენენ „ბაზარს“. შემფასებელმა არ უნდა გააკეთოს არარეალური დაშვებები ბაზრის პირობების შესახებ ან წარმოსახოს საბაზრო ღირებულების დონე გონებრივი მოსაზრებით მისაღწევზე შეტად.

„და დაინტერესებულ მყიდველს შორის“ იგულისხმება გამყიდველი, რომელიც არ იწვის სურვილით გაყიდოს, არ არის იძულებული გაყიდოს და არ არის მზად გაყიდოს ნებისმიერ ფასად, რომელიც არ ჩაითვლება ბაზარზე გონებრივად მოცემული მომენტისთვის, დაინტერესებული მყიდველის მოტივს წარმოადგენს ქონების საბაზრო პირობებით გაყიდვა მაქსიმალურად მისაღებ ფასად შესაბამისი მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, რა ოდენობისაც არ უნდა იყოს ეს თანხა, რეალური მესაკუთრის (მფლობელის) ფაქტიური მდგომარეობა ყურადღებაში არ მიიღება, რადგანაც „დაინტერესებული გამყიდველი“ არის ჰიპოტეტური მესაკუთრე.

„გაშლილი ხელის პრინციპით ტრანზაქციისას“ ნიშნავს, რომ მხარეებს შორის არ არსებობს არავითარი განსაკუთრებული ან სპეციალური ურთიერთკავშირი (ისეთები, როგორებიცაა მაგალითად: ურთიერთობა სათაო და შვილობილ საწარმოებს შორის, ან სახლის მესაკუთრესა და მოიჯარის შორის), რომლებსაც შეუძლიათ გადააქციონ ფასთა დონე შეუსაბამო ბაზრის მონაცემებთან ან გაზარდროს ფასები სპეციალური საკუთრების ელემენტების არსებობის გამო, იგულისხმება რომ გარიგება საბაზრო ღირებულების მიხედვით უნდა მოხდეს მხარეთა შორის, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან რაიმე სახით და თითოეული მხარე მოქმედებს დამოუკიდებლად.

„მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ“ გულისხმობს რომ ქონება ბაზარზე გამოტანილ იქნას ყველაზე შესაფერისი სახით, რათა უზროუნველოყოს მისი რეალიზაცია საბაზრო საუკეთესო ფასად გონებრივი მოსაზრებებით მისაღწევი ფასებიდან ღირებულების განმარტების შესაბამისად. ბაზარზე გამოტანის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს სხვადასხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში იმისთვის რომ აქტივმა მიიზიდოს პოტენციური მყიდველების საკმარისი რაოდენობის ყურადღება, ბაზარზე გამოტანის თარიღი წინ უსრებს შეფასების (ღირებულების დადგენის) თარიღს.

„როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინადახედულად“ გულისხმობს წარმოადგენს, რომ დაინტერესებული მყიდველი, ასევე დაინტერესებული გამყიდველი საკმარისად არიან ინფორმირებული გასაყიდი ქონების ხასიათის და თვისებების ფაქტიური და პოტენციური გამოყენების შესახებ, აგრეთვე შეფასების თარიღისთვის ბაზრის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ იგულისხმება, რომ თითოეული მათგანი ფლობს რა ამ ინფორმაციას, მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაანგარიშებით, რათა მიაღწიოს გარიგებაში საუკეთესო ფასს თავისი პოზიციიდან გამომდინარე. იგულისხმება ანგარიშიანობა ბაზრის მდგომარეობის მიმართ შეფასების თარიღისთვის და არა ანგარიშიანობა უკანა თარიღით შემდგომი (მომავალი) თარიღისთვის, საზოგადოდ უყარათობად არ ითვლება ის ფაქტი, როდესაც გამყიდველი ყიდის ქონებას ვარდნადი ფასების ბაზრის პირობებში წინა საბაზრო ფასებზე დაბალ ფასად, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ცვალებადი ფასების სხვა სიტუაციებში ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით ანგარიშიანი გამყიდველი ან მყიდველი მოქმედებს ბაზრის თაობაზე არსებული და მისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად სრული ინფორმაციის საფუძველზე.

„და ძალდატანების გარეშე“ ნიშნავს რომ თითოეულ მხარეს გააჩნია მოტივები გარიგების განსახორციელებლად, მაგრამ არცერთ მათგანს არ აიძულებენ განახორციელონ გარიგება.

## 2.2 შეფასების მიდგომები

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების პრაქტიკაში გამოიყენება სამი ძირითადი მიდგომა:

დანახარჯების მიხედვით მიდგომა – გულისხმობს შემდეგს: ქონების(როგორც ვაკანტურის) საბაზრო ღირებულება, მის წარმოებაზე დაწეული ხარჯები და აკლდება ყველა სახეობის ცვეთა(ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური)

გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა – გულისხმობს შემდეგს : შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას ანალოგების იმ მონაცემებთან რომლებიც გაყიდულ იქნა ან რომლებიც გამზადებული არიან გასაყიდად.

შემოსავლების მიხედვით მიდგომა – გულისხმობს შემდეგს : მოძრავი ქონებიდან გამოძავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების დადგენას პირდაპირი კაპიტალიზაციით ან ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით.

ამ შეფასების მიზნებისთვის შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა, დანახარჯების და შემოსავლების მიხედვით მიდგომა.

## 2.3 დანარჯების მიხედვით მიდგომა

### ჩანაცვლების მეთოდი

დანახარჯების მეთოდი ეფუძნება ქონების ან სხვა აქტივის ღირებულების შედარებას, როდესაც მსგავსი ქონებრივი ობიექტის შეძენის ალტერნატივად განიხილება სხვა ობიექტის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც წარმოადგენს თავდაპირველი ობიექტის მსგავს ასლს(ან ისეთ ობიექტს), რომელიც უზრუნველყოფს ისეთივე სარგებლიანობას, იმ დაშვებით, რომ არ წარმოიქმნება დაუსაბუთებელი დანახარჯები, რომლებიც განპირობებულია გაჩერებით. გაანგარიშება ეფუძნება აღდგენითი ღირებულების გამოთვლას, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს საბაზრო ღირებულების მაჩვენებელს. მსგავსი მეთოდი ეფუძნება ჩანაცვლების პრინციპს, ანუ გათვითცნობიერებული მყიდველი არ გადაიხდის აქტივში იმაზე მეტს, რაც ღირს მისი შეცვლა ახალზე.

### აღდგენითი ღირებულების მეთოდი

ობიექტის აღდგენითი ღირებულება არის მსგავსი ობიექტის შექმნის ღირებულება არსებული სამუშაო მასალებით, სამშენებლო ტექნოლოგიებით, მუშა ხელის ღირებულებით და სხვა ხარჯებით. აღდგენითი ღირებულება ადგენს ღირებულების ზედა ზღვარს, რომელსაც გადაიხდის გათვითცნობიერებული მყიდველი. ამიტომ ის კორექტირდება იმ გაუფასურებაზე(ცვეთაზე), რომელსაც განიცდის აქტივის ფიზიკური, ფუნქციონალური, ეკონომიკური ცვეთის ზეგავლენით.

## 2.4 გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა

გაყიდვების შედარების მეთოდი ეფუძნება შესაფასებელი ქონების ღირებულების დაპირისპირებას შესადარისი ანალოგიური გამოყენების ქონების გაყიდვის ფასებთან ან შეთავაზებებთან, ამ მეთოდის საშუალებით ანალოგიური ობიექტების გაყიდვების ან შეთავაზებების ანალიზის საფუძველზე მოდელირებას განიცდის შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულება.

მსგავსი მეთოდის პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განვითარებული ბაზრის პირობებში, როდესაც შესაძლებელია მოპოვებული იქნას საბაზრო ინფორმაცია ანალოგების გაყიდვების ფასებზე მის ტექნიკური და სამომხმარებლო თვისებებზე იმ რეგიონებისთვის სადაც მიღებულია დაკვეთა შეფასებისთვის.

ეს მეთოდი არ გამოიყენება როდესაც არ არსებობს შესაფასებელი ქონების განვითარებული ბაზარი, ან შეფასებას ექვემდებარება სპეცილიზირებული ასევე სპეციალური დანიშნულების ქონების ობიექტები, რომლებსაც გააჩნია განსხვავებული ეკონომიკური სარგებლიანობა და დატვირთვები.

## 2.5 შემოსავლების მიხედვით მიდგომა

შემოსავლების მეთოდი ეს არის შეფასების პროცედურა, რომელიც ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ქონების ღირებულება უშუალოდ დაკავშირებულია იმ მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებაზე, რომელსაც მოიტანს ეს ქონება, ანუ ინვესტორი ყიდულობს შემოსავლის მომტან ქონებას დღევანდელი ფულით და იღებს სანაცვლოდ უფლებას მომავალში მიიღოს შემოსავლები, ამ ქონების კომერციული გამოყენების შედეგად (საიჯარო შემოსავლებით და ამ ქონების შემდგომი გაყიდვის შედეგად). ეს მეთოდი ფორმალიზირდება მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებაში გადაყვანის გზით.

მიდგომა შეიძლება განხორციელდეს ორი მეთოდის საშუალებით, კერძოდ:

პირდაპირი კაპიტალიზაციის მეთოდი

გამოთვლის ფორმულა :  $MV = NOI / Ro$ , სადაც  $MV$  - ქონების საბაზრო ღირებულებაა,  $NOI$  - სუფთა საოპერაციო შემოსავალი,  $Ro$  - კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

- ❖ აფასებ ერთი წლის განმავლობაში პოტენციურ მთლიან შემოსავალს (  $კმშ = მთლიანი შემოსავალი / ვართობი \times საბაზრო ქირა / + სხვა შემოსავლები$  )
- ❖ აფასებ ეფექტურ მთლიან შემოსავალს (  $ემშ = კმშ - ვაკანსიები და დანაკარგები ქირის ამოუღებლებიდან$  )
- ❖ ადგენს მოსალოდნელ ხარჯებს და რეზერვებს;
- ❖ ანგარიშობს სუფთა საოპერაციო შემოსავალს ( $NOI = ემშ - ხარჯები$ )
- ❖ ადგენს კაპიტალიზაციის კოეფიციენტს;
- ❖ ადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, სუფთა საოპერაციო შემოსავლის კაპიტალიზაციის კოეფიციენტზე გაყოფის გზით ( $NOI / Ro$ )

გამოთვლის ფორმულა :  $MV = \sum NOI_t(1+i)^t + FV/(1+i)^n$

სადაც :

MV - საბაზრო ღირებულება;

NOI<sub>t</sub>-სუფთა საოპერაციო შემოსავალი თითოეული პერიოდისთვის

FV - პერიოდის ბოლოს ობიექტის გაყიდვის ღირებულება

I - დისკონტირების განაკვეთი

N - ფლობის პერიოდი

1 – თითოეული პერიოდის აღნიშვნა

### 3. შეზღუდვები და დაშვებები

- შეფასების პროცესს თანახლდა შემდეგისახის შემზღუდავი პირობები. შემფასებლის მიერ გაკეთებულია შემდეგისახის დაშვებები:
- შემფასებელი არ გულისხმობს რაიმე სახის ფარული ფაქტორების არარსებობას (დასკვნაში აღნიშნული სგარდა), რომელთაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს შესაფასებელი ქონების ღირებულებაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ასეთი ფაქტორების არსებობაზე.
- მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს მის მიერ დადგენილი რეზულტების მაჩვენებელთან მიმართებაში და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შემფასებელი ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ან უსტად შემფასებელი რეზულტების მიხედვით.
- ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არარსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტორები, რომლებიც იცვან სხვა ვადებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.
- შემფასებელი არ იღებს ვალდებულებას, როგორც შესაფასებელი ქონების სამართლებრივ მდგომარეობაზე, ასევე იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების უფლების იურიდიულ ასპექტებთან.
71	56	ავტოსადგომი	190064476	14.03.19	01.05.20	320.00	შპს ბათუმის ავტოსატრანსპორტო	წარმომადგენლობითი ხარჯი
72	49	ავტოსადგომი	190064217	18.03.19	01.05.20	150.00	შპს ავტოსატრანსპორტო საწარმო	წარმომადგენლობითი ხარჯი
73	59	კონდიციონერის შესყიდვა	190066876	18.03.19	15.05.19	909.99	ს.ს. კლიტ ელექტრონიკა	თანხმობით
74	61	დროშის შესყიდვა	190066900	20.03.19	31.01.20	150.00	შპს E 2010	თანხმობით
75	62	მონიტორის შესყიდვა	190066902	20.03.19	01.05.19	70.00	შპს გეპა	თანხმობით
76	63	ელექტრო მრიგბელი	190066903	20.03.19	01.06.19	160.00	ი.მ ჯუშუბერ ფუტკარაძე	თანხმობით
77	64	კულტურული ღონისძიება	190067731	21.03.19	01.05.19	3,499.80	ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი	წარმომადგენლობითი ხარჯი
78	67	სამედიცინო სახრჯი მასალები	190070294	25.03.19	31.01.20	2,176.20	შპს გოლდმედი	კონსოლიდირებული ტენდერი
79	68	სამედიცინო მედიკამენტები	190070297	25.03.19	31.01.20	2,059.20	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
80	69	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070306	25.03.19	31.01.20	608.40	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
81	70	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070317	25.03.19	31.01.20	463.32	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
82	71	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070324	25.03.19	31.01.20	396.15	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
83	72	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070330	25.03.19	31.01.20	182.52	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
84	73	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070338	25.03.19	31.01.20	1,731.60	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
85	74	ფარმაცეპტული პროდუქტები	190070365	25.03.19	31.01.20	704.34	სს გეფა	კონსოლიდირებული ტენდერი
86	78	გაზეთი აჭარის შეგნა	190073115	27.03.19	31.01.20	1,287.00	ი.მ ელდარ ასკერიფი	თანხმობით
87	79	მლენა გამასინილეზა	190073119	27.03.19	15.05.20	1,320.00	ი.მ იაშ თუდორაძე	წარმომადგენლობითი ხარჯი
88	81	მლენა გამასინილეზა	190075024	03.04.19	15.05.19	533.00	შპს ქედის ლენის ქარხანა	წარმომადგენლობითი ხარჯი
89	82	ბენზინის შესყიდვა	190077121	05.04.19	31.01.20	39,710.00	შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმები	კონსოლიდირებული ტენდერი
90	83	დიზელის შესყიდვა	190077122	05.04.19	31.01.20	7,992.00	შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმები	კონსოლიდირებული ტენდერი
91	84	ავტომანქანის პარკირების მომსახურება	190077124	05.04.19	05.08.20	51,527.00	შპს ჯიტი მოტორსი	კონსოლიდირებული ტენდერი
92	85	კულტურული მომსახურება	190080688	15.04.19	21.05.20	2,120.00	ი.მ ლევან ასესლაძე	წარმომადგენლობითი ხარჯი

93		ფარმაცეპტული პროდუქტები	190082666	19.04.19	31.01.20	1,165.32	სს გეფა	კონსოლიდირებული ტენდერი
94	87	პრინტერის შეკეთება	190082673	17.04.19	01.06.19	150.00	შპს გეპა	წარმომადგენლობითი ხარჯი
95	90	ფარმაცეპტული პროდუქტები	190086487	19.04.19	31.01.20	2,527.00	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
96	91	ფარმაცეპტული პროდუქტები	190086491	19.04.19	31.01.20	278.93	შპს შპს ფარმა	კონსოლიდირებული ტენდერი
97	95	სამედიცინო მასალები	190086499	25.04.19	31.01.20	140.40	შპს ბუდკონომი	კონსოლიდირებული ტენდერი
						520,324.45		





4. შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 05 სექტემბრის №01-08/96 ბრძანება.

წესდების თანახმად შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

1. ა) ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება;  
ბ) დასახლებებში მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა;

გ) ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების და ადმინისტრაციული ცენტრების გარე განათების სისტემის კეთილმოწყობა და ექსპლუატაცია.

2.2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წესდება არის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული და საჭიროებს განახლებას.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2017-2018 წლებში ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2017 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 241700 ლარით, 2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტში მოხდა ცვლილებები, კერძოდ: I-ი ცვლილებით ბიუჯეტი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 287700 ლარით, II-ე ცვლილებით 303200 ლარით და III-ე ცვლილებით დამტკიცდა 334000 ლარით.

2017 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სულ ჩაერიცხა 333998,39 ლარი, ამასთან ორგანიზაციას წლის დასაწყისში ნაშთის სახით საბანკო ანგარიშზე გააჩნდა 7044,63 ლარი, ადგილობრივი შემოსავლების, კერძოდ: ტრაქტორის გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა 3241,12 ლარი შეადგინა, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2017 წელს შეადგინა 344284,14 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 339305,3 ლარი, რაც არის საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის 101.5%-ზე მეტი. 2017 წლის ბოლოს ორგანიზაციას საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ფულადი სახსრები დარჩა 4978,84 ლარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს 2018 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 310700 ლარით, 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტიში მოხდა ცვლილებები, კერძოდ: I-ი ცვლილებით ბიუჯეტი დამტკიცდა 355400 ლარით, II-ე ცვლილებით 395400 ლარით, III-ე ცვლილებით დამტკიცდა 452920 ლარით და IV-ე ცვლილებით საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა 460020 ლარით.

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სულ ჩაერიცხა 459720 ლარი, ორგანიზაციას წლის დასაწყისში

ნაშთის სახით საბანკო ანგარიშზე გააჩნდა 4978.84 ლარი, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული აქვს 1650 ლარი, რითაც სულ ფინანსურმა სახსრებმა 2018 წელს შეადგინა 466348.84 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 466231 ლარი, რაც არის საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის 101.35%-ით ათვისება, 2018 წლის ბოლოს ორგანიზაციას ნაშთის სახით ფულადი სახსრები დარჩა 117.84 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგნაირი სახით არის წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 148960 ლარის ასიგნება, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8000 ლარით მეტია. საკასო შესრულებამ შეადგინა 166708.9 ლარი, ანუ გეგმაზე 11,9%-ით მეტი, რაც გამოწვეული იყო საშტატო ერთეულის გაზრდით. (საშტატო ერთეული გაიზარდა ოთხი ერთეულით).

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 296060 ლარი (რაც წინა წლის მაჩვენებელს 112620 ლარით აღემატება), გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 283331,6 ლარი, ანუ გეგმის 95,7% შეადგინა.

– შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 21600 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 19600 ლარით აღემატება.

– სამივლინებო ხარჯმა 90 ლარი შეადგინა.

– საკანცელარიო საქონლის შეძენამ 711 ლარი შეადგინა.

– კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 460 ლარი.

– საოფისე ინვენტარის შეძენა დამონტაჟებაზე 610 ლარი.

– კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 1963,11 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 809,47 ლარით მეტია).

– საფოსტო მომსახურებაზე გაიხარჯა 15,5 ლარი.

– გარე განათების ხარჯმა 56975,28 ლარი შეადგინა, (რაც წინა წლის მაჩვენებელზე 10824,05 ლარით მეტია).

– ნარჩენების გატანაზე გახარჯულია 3057 ლარი.

– ელექტრო ენერჯის დაერთების ხარჯმა 4000 ლარი შეადგინა.

– შეძენილ იქნა დეზინფექციის საშუალებები 3133,32 ლარის.

– სამეურნეო საქონლის შეძენაზე 12082,51 ლარი დაიხარჯა.

– ელექტრო საქონელზე გაიხარჯა 8238 ლარი.

– საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გახარჯული იქნა 1789,28 ლარი.

– უნიფორმის შეძენაზე გაიხარჯა 5226 ლარი.

– ცხოველების გაუნებელყოფისათვის გახარჯულია 3975 ლარი.

– ავტომანქნის მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 19567 ლარი.

– ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 115917,7 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელს 42864,8 ლარით აღემატება). ნაწილობრივ საწვავის ხარჯის გაზრდა ორგანიზაციაში გამოწვეულია ერთი ნაგავმზიდისა და ერთი ერთეული ფორდის მარკის ავტომანქნის მატებით.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 23921,99 ლარი.

არაფინასური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა 14700 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9800 ლარით მეტია), კერძოდ შეძენილ იქნა ერთი ერთეული სატვირთო ავტომანქანა 14700 ლარის ღირებულების.

2) აუდიტის მიზნები: ბიუჯეტის თანხების მიზნობრიობის დადგენა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

ა) საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით დამტკიცებული ქონდა 37 საშტატო ერთეული, თვიური სახელფასო ფონდი 11830 ლარით და ორი შტატგარეშე მომუშავე თვიური სახელფასო ფონდი 500 ლარით, 2017 წლის განმავლობაში მუშა-მომსახურეთა მიმართ დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 140101 ლარი, მათ შორის ტექნიკური პერსონალისათვის სარგოს სახით დარიცხულია 138101 ლარი, შტატგარეშე მომუშავე პირებისათვის 2000 ლარი.

2018 წელს წინა წელთან შედარებით შტატების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით და შეადგინა 45 კაცი, მათი თვიური სახელფასო ფონდი შეადგენდა 15380 ლარს, ასევე 13 ერთეულით გაზარდეს შტატგარეშე მომუშავეთა რიცხვი, რამაც შეადგინა 15 კაცი, მათი თვიური სახელფასო ფონდი გაიზარდა 4100 ლარამდე. თანამშრომელთა გაზრდა ხელმძღვანელობის განმარტებით გამოწვეული იქნა მახუნცეთის ტერიტორიაზე საშტატო ერთეულის დამატებით და შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორი სატრანსპორტო საშუალების გადაცემით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რა წესით იქნა შერჩეული თანამშრომლები, ამასთან, ახალ ვაკანტურ ადგილებზე არ მოხდა კონკურსის გზით შერჩევა, აღნიშნული წესით შეიძლებოდა კვალიფიციური კადრების სამუშაოზე აყვანა და არ იქნებოდა რისკის შემცველი.



(საშტატო ნუსხა, ხელფასის თვიური განაკვეთის ერთად დანართი №1-ის თანახმად თან ერთვის.)

## ბ) საინვენტარიზაციო აღწერილობა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2016 წლის 1 აგვისტოს №01-02/7 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავჯდომარე ვაჟა ბალაძე შ.პ.ს. „ქედის კომუნალურ სერვისი“-ს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრებად მურმან სურმანიძე-მებაღე და ზურაბ დიასამიძე-ელ. მანტიორი.

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს აქვს 462504.1 ლარის ექვსი სატრანსპორტო საშუალება, 1020 ლარის 1500 კ.მ. მიწის ნაკვეთი, 532,97 ლარის შენობა ნაგებობა, 21624,5 ლარის მოწყობილობა, 5970 ლარის საოფისე ინვენტარი, 5969,5 ლარის მცირეფასიანი ინვენტარი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებით დამტკიცებულ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად სავალდებულოა ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, რითაც დარღვეულია აღნიშნული ბრძანების მოთხოვნა, ასევე, მონიტორინგით დადგინდა, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებულ ინვენტარიზაციის მასალებში არ არის მითითებული მატერიალურ ფასეულობების ადგილმდებარეობა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული 1500 კვადრატული მეტრი მიწის ფართი და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქრო მდებარეობს ყოფილი ქედის სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე. სადურგლო საამქროს გამოყენება ხდება ფიზიკური პირების მიერ, რომლებთანაც არავითარი ხელშეკრულება არაა გაფორმებული, მაშინ როცა რეკომენდირებულია, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-მა იჯარით გასცეს ქონება და მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე ერიცხება ადმინისტრაციული შენობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 532,97 ლარის, რომელიც დაკავებული აქვს მოქალაქეს და უკვე მრავალი წელია იყენებს საცხოვრებლად. გამომდინარე იქედან, რომ შენობის ფართი შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ უფუნქციოდაა დარჩენილი და ვერ იყენებს, რეკომენდირებულია კანონმდებლობის დაცვით გასხვისდეს.

ამჟამად შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ დაკავებული ფართი, რომელსაც ის ადმინისტრაციული საქმიანობისათვის იყენებს, არაა გადაცემული ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე, რაც უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტის ქონების მართვის განყოფილებამ შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2017 წლის 4 იანვარს №01-02/3 ბრძანებით შექმნილია დაზიანებული საქონლის ჩამომწერი კომისია, რომლის მეშვეობითაც ჩამოიწერა 15805,69 ლარის ღირებულების გამოუყენებული და დაზიანებული საქონელი, მაგრამ არაა შედგენილი აქტი გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო,

გაცვეთის მიზნით, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

აღნიშნული ქმედება ხელმძღვანელობის მხრიდან რისკის შემცველია.

რაც შეეხება ბუღალტრულ დოკუმენტების არსებობას, ისინი ინახება ბუღალტერთან, მაგრამ არაა დანომრილი.

მიზანშეწონილია შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორმა ყოველწლიურად თავისი სამართლებრივი აქტით განაახლოს საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიების მიერ შექმნილი აქტები განიხილოს პარტნიორთა კრებაზე.

#### გ) ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის მონიტორინგი

2017-2018 წლების განმავლობაში სათადარიგო ნაწილების შეძენისათვის დახარჯულია შესაბამისად 21095,5-19567 ლარი, ხოლო საწვავის შესაძენად 73052,9-115917,7 ლარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ავტომანქანებზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 2018 წელთან შედარებით 2017 წელს შემცირებულია, მაგრამ სარემონტო და სათადარიგო ნაწილებზე გახარჯული თანხები კვლავ დიდია.

2018 წლის 3 იანვრის შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის №01-02/1 ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, კერძოდ:

- 1) HONDA სახ. ნომრით FH878HF თვიური ლიმიტი შეადგენს 900 ლიტრ ბენზინს.
- 2) პეჟო ავტომანქანა სახ. ნომრით CCO-848 თვიური ლიმიტი შეადგენს 300 ლიტრ დიზელს.
- 3) ბელორუსის ტრაქტორი სახ. ნომრით BS-016 შეადგენს საათში 13 ლიტრ დიზელს.
- 4) ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრი დიზელია.
- 5) FORDI სახ. ნომ. UY858YU-ის ყოველთვიური ლიმიტია 150 ლიტრი დიზელი.
- 6) ბელარუსი BS-095-S ჯისიპის საწვავის ლიმიტი გადაადგილების დროს შეადგენს 9,9 ლიტრს, ხოლო მუშა მდგომარეობის დროს 14,5 ლიტრს საათში.
- 7) MERSEDES BENS UU-797-PP -ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრია.

გახარჯული საწვავის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ №2-ში.

აღნიშნული მონაცემებით ჩანს, რომ ყოველთვიურად საშუალოდ იხარჯება 900 ლიტრი ბენზინი და 3696 ლიტრი დიზელის საწვავი, შესაბამისად 10304 ლარისა, რისი მოხმარებაც მაღალია და ვთვლით, რომ აღნიშნული უკონტროლობისა და არაეფექტიანად ხარჯვაზე მიგვანიშნებს, იმიტომაც, რომ უმრავლეს შემთხვევაში საგზურებში არის მითითებული ერთი და იგივე სამომრავო მარშრუტი.

სამ ავტომანქანაზე 1. MERSEDES BENS UU-797-PP-ზე 2. ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ზე 3. FORDI სახ. ნომ. UY858YU -ზე დამონტაჟებულია აგაი სისტემა, ხოლო დანარჩენ ავტომანქანებზე დასამონტაჟებელია აგაი სისტემა, რაც კონტროლისათვის უკეთეს პირობებს შექმნის. საწვავის ხარჯვის ჩამოწერისათვის ბუღალტერიაში ინახება დოკუმენტები, რომელშიც მოცემულია ავტომანქნის დასახელება, საწვავის ხარჯვის ოდენობა, მარშუტი, დრო, და გავლილი კილომეტრობა ან ნამუშევარი საათების რაოდენობა. აღნიშნული წესით საწვავის ხარჯვა რისკის შემცველია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე მწლის 1 აგვისტომდე დამონტაჟდეს „აგაი“ სისტემა.

#### დ) სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე ატვირთული აქვს 2017 წლის შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური გეგმით გათვალისწინებულია ერთი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და თექვსმეტი გამარტივებული შესყიდვა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 67170 ლარს, ასევე გეგმით მოცემულია შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სიპივი კოდები (CPV), რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო შესყიდვა.

2017-2018 წლებში შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“ შესყიდვების მიზნით სულ 110 ხელშეკრულება აქვს დადებული, სხვადასხვა პირებთან, მონაცემები იხილეთ დანართ №3-ში.

წინა აუდიტორული შემოწმების დროს ჩვენს მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის ფაქტების შესახებ, რომ შემდგომში არ განმეორებულიყო, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ არ გამოსწორებულა და მიმდინარე 2019 წელსაც შეინიშნება ფაქტები, კერძოდ:

№56(CMR190009098) და №33(CMR190115629) ხელშეკრულებებით-გამარტივებული შესყიდვის საშუალებებით განხორციელდა 90500000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული შესაბამისი შესყიდვები ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 7750 (4000+3750) ლარი, რაც წინააღმდეგობაში მოდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის თანახმად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა ამ მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისთვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია ამ კანონით.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2018-2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, გათვალისწინებულ თითქმის ყველა შესყიდვაზე შესყიდვის საფუძვლად

მითითებულია „გადაუდებელი აუცილებლობა“, რაც გაურკვეველია და მომავალში საჭიროებს კორექტირებას და შესაბამისი საფუძლის მითითებას.

№22(CMR190087963) ხელშეკრულება CMR მოდულის შესაბამის გვერდზე ატვირთულია დაგვიანებით (დადებულია 27.03.2019 წელს, ატვირთულია 02.05.2019 წელს) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის ასლი რეგისტრირდება CMR-ში ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიაწოდოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი. აღნიშნული შენიშვნა ეხება №13(CMR190106953) და სხვა ხელშეკრულებებს.

№22(CMR19008763), №23(CMR190084384) და სხვა ხელშეკრულებების, (რომელიც დადებულია 2018 წლის 7 მარტიდან) შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის შესაბამის გვერდზე არ არის ატვირთული მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილები ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულებასთან ერთად. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ამასთან უნდა გაცნობოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ძალაში შევიდა 2018 წლის 7 მარტიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება №5 საფუძველზე, რაც მომავალი შესყიდვების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს.

2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის მიერ შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 89855 ლარის შესყიდვების განხორციელება მაშინ, როცა დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს 167317,5 ლარს, ანუ 77462,5 ლარით მეტი, ასეთივე მდგომარეობაა 2018 წელსაც.

მონიტორინგით გაირკვა, რომ 2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის მიერ დადებული 57 ხელშეკრულებიდან მხოლოდ 25 ხელშეკრულებაში აქვს ასახული სიპივი 8 ნიშნა კოდი (CPV), რომელიც არის შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის საშუალება, ხოლო მისი არ ასახვა ხელშეკრულებაში წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევას, რაც მაღალი რისკის შემცველია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2018 წლებში გამარტივებული შესყიდვის გზით დადებული არცერთ ხელშეკრულება და მიღებაჩაბარების აქტი არაა ატვირთილი შესყიდვების ვებგვერდზე, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ე) ბიუჯეტის თანხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგი

ა) 2017-2018 წლების განმავლობაში საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გაწეულია შესაბამისად 2001.6-1789.3 ლარის ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში აქსესუარების ნაკლებობა შეინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში საპირფარეშოები მოუწესრიგებელი და დაულაგებელიც კი იყო. მაშინ, როცა 14 საპირფარეშოს ყავს დამლაგებელი და ყოველთვიურად ღებულობენ ხელფასს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

მ/წლის 17 ივნისს მახუნცეთის ტერიტორიაზე არსებულ ორ საპირფარეშოში მომსახურება ფასიანია, რაც შეადგენს ერთ კაცზე 50 თეთრს. ივნისის თვეში 13 დღეზე საპირფარეშოებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 499 ლარი.

არსებული წესის შემოღება შეიძლებოდა გასულ წელსაც და ბიუჯეტის შემოსავლებიც გაიზრდებოდა.

ბ) ცხოველების გაუნებელყოფისათვის 2017-2018 წლებში დაიხარჯა 3975-3975 ლარი, თუმცა რაიონის მთელ ტერიტორიაზე კვლავ შეინიშნება მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობის ზრდა.

გ) ქუჩების განათებისათვის 2017 წელს დაიხარჯა 46151 ლარი, ხოლო 2018 წელს 10824 ლარით მეტი და 56975 ლარი შეადგინა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრო სისტემაში ცვალებადი დენის გამო და სხვა მიზეზებითაც მწყობრიდან გამოდის ელ.

ნათურები და მათ შექმნაზე 2017 წელს დაიხარჯა 9300 ლარი, ხოლო 2018 წელს კი 8238 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზიანებული ელ. ნათურების შეცვლას შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ხელმძღვანელობა ზოგიერთ შემთხვევაში დროულად ვერ ახერხებს.

#### დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ხელმძღვანელობას თავისი წესდებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ტრაქტორის გაქირავებით მიღებული აქვს 3241,12 ლარი და 2018 წელს კი 1650 ლარი, ამინ, როცა მას გააჩნდა ერთი ბორბლებიანი ტრაქტორი, ერთი ექსკავატორი და არ ქონდა განსაზღვრული საწყისი საიჯარო ღირებულება თვეზე და დღიურად გაანგარიშებული.

ამჟამად, მოიწვია კერძო აუდიტი და დაადგინეს მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულება, აღნიშნული შეფასების მონაცემები იხ. დანართ№4-ით.

2017-2018 წლებში შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ტექნიკის გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, რომლებზეც მოთხოვნას აკეთებდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები მოხსენებითი ბარათის მეშვეობით, სამუშაოების დაწყებამდე რწმუნებულთან ერთად მოწმდებოდა შესასრულებელი სამუშაოების ადგილები, იგეგმებოდა სამუშაოების ჩატარების პროცესები და ამის შემდეგ ხდებოდა სამუშაოების შესრულება, შესრულებულ სამუშაოებზე დგებოდა დოკუმენტაცია, რომელსაც ხელს აწერდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული და შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს წამომადგენელი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუშაოების შესრულება მოხდეს თანადაფინანსების გზით. არსებული წესი შემუშავებული იქნას ერთობლივად: შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ის ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ.

2017-2018 წლებში ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი ძალიან მწირია, მაშინ როცა არსებულ ტექნიკის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია ბაზარზე და შეიძლება წლიურად სოლიდური შემოსავლების მიღება, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა

იზრუნოს სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები. ამასთან მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ სხვადასხვა კომერციულ საქმიანობაში.

### ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

#### 1. შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორმა:

– მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს ორგანიზაციის წესდების პროექტის მომზადება და მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენა მისი დამტკიცების მიზნით.

– ორგანიზაციის ბიუჯეტი ისე დაიგეგმოს, რომ ყოველკვარტალურად არ მოხდეს მასში ცვლილებების შეტანა.

– კადრების შერჩევის დროს მოხდეს საზოგადოების ინფორმირება და სამუშაოდ დაინტერესებულ პირებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

– დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნები.

– სატენდერო კომისიის მიერ მკაცრად დაცული იქნას შესყიდვების ჩატარების პროცედურები და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად განახორციელოს შესყიდვები.

– უზრუნველყოს ბალანსზე არსებული მიწის ფართისა და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქროს იჯარით გაცემა და საკუთარი ქონებიდან შემოსავლის მიღება.

– ბალანსზე რიცხული გამოუენებელი ადმინისტრაციული შენობის გასხვისების საკითხი განიხილოს პარტნიორთა კრებაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

– ყოველთვიურად მოახდინოს საწვავის ინვენტარიზაცია და მისი ჩამოწერა უზრუნველყოს გარბენილი კილომეტრების მიხედვით, ამასთან მიმდინარე წლის 01 აგვისტომდე ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული იქნას „აგაი“ სისტემა.

– განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტექნიკის მოვლა ექსპლუატაციის ხარჯების ეკონომიურ ხარჯვას.

– მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღვები, კატები) ცხოველების რაოდენობა.

– მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე.

– მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე პარტნიორთან შეთანხმებით შემუშავებული იქნას წესი ავტო ტრანსპორტის გამოწინებასთან დაკავშირებით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების განყოფილების მიერ მომზადებულ იქნას დოკუმენტაცია, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე შენობის იმ ფართის გადაცემაზე, რომელსაც ორგანიზაცია ამჟამად ადმინისტრაციული საქმიანობის შესასრულებლად იყენებს.

დამტკიცებული საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა სახელობითი სია

თანამდებობა	სახელი გვარი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
<b>ადმინისტრაციული პერსონალი</b>			
დირექტორი	მალხაზი სურმანიძე	1	1000
მოადგილე	ვაჟა ბალაძე	1	600
ბუღალტერი	აბდულ ვაშაყმაძე	1	600
ტექ.ზედამხედველი	ნესტან ბერიძე	1	350
იურისტი	ნესტან დიასამიძე	1	450
საწყობის გამგე	ირაკლი ხაბაზი	1	450
სპეციალისტი შესყდ	მანონი სურმანიძე	1	450
დამლაგებელი ადმი	ნესტან ჩხიკვაძე	1	300
		8	4200
<b>ტურისტული ზონების მომსახურების განყოფილება</b>			
განყოფილების უფროსი მახუერთ	ზაალ ბერიძე	1	600
მთავარი სპეციალისტი მახუერთ	როლანდი ცინცაძე	1	400
მთავარი სპეციალისტი მახუერთ	მერი ვარშანიძე	1	400
მთავარი სპეციალისტი მახუერთ	ჯამბულ ირემაძე	1	400
		4	1800
<b>ტექნიკური პერსონალი</b>			
მეეზოვე	ლამარა ბერიძე	1	400
მეეზოვე	მაია გორგაძე	1	250
მეეზოვე	დათიკო აბულაძე	1	250
მეეზოვე	ვახტანგ გორგაძე	1	400
მეეზოვე	გურამ ვერძაძე	1	250
მეეზოვე	ადემ თებიძე	1	250
მებაღე	ჯუმბერ მახარაძე	1	300
მებაღე	გონა აბულაძე	1	300
მებაღე	მურმან სურმანიძე	1	300
მებაღე	გონა თურმანიძე	1	300
მებარღე მახუნცეთში	ირმა ხაბაძე	1	200
ელ.მანტიორი	ზურაბი დიასამიძე	1	400
ელ.მანტიორი	ნუკრი ბერიძე	1	350
ელ.შემდუღებელი	ლევან ნაკაშიძე	1	250
მძლოლი	ვალერი გოგიტიძე	1	300
მძლოლი	იაშა ნაკაშიძე	1	500
მძლოლი	ამირან გათენაძე	1	500
მძლოლ მექანიზატორი	ზვიად ჯაბნიძე	1	250
მძლოლ მექანიზატორი	მერაბ ჯაბნიძე	1	500
ოპერატორი	ბეგლარ ძნელაძე	1	400
ოპერატორი	არჩილ მახარაძე	1	400
ოპერატორი	ახმედ ბერიძე	1	400



ოპერატორი	არჩილ პეტრიძე	1	400
		23	7850
<b>საზოგადოებრივი საპირფარეშოების დამლაგებელი</b>			
დამლაგებელი საპ	დარეჯან დუმბაძე	1	100
დამლაგებელი საპ	მაია გორგაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ნონა ფარტენაძე	1	100
დამლაგებელი საპ	მაკა ბერიძე	1	100
დამლაგებელი საპ	ჯემალ არქენაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ნაზიკო თურმანიძე	1	100
დამლაგებელი საპ	ბადრი ვერძაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ისმაილ თებიძე	1	250
დამლაგებელი საპ	მედეა მახარაძე	1	350
დამლაგებელი საპ	ნანი მახარაძე	1	230
		10	1530
<b>შტატგარეშე</b>			
მრეცხავი	მანუჩარ დიასამიძე	1	250
მეეზოვე	თამაზ კურცხალიძე	1	250
მეეზოვე	გიორგი თურმანიძე	1	250
მეველე	ნიკო დიასამიძე	1	250
ბრიგადირი	შახზადე აბულაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
ადმინისტრატორი	დავით ტაკიძე	1	300
ავტოსადგომის მორიგე	ზურაბ შერვაშიძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	ეთერ ზაქარიაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	ლევან ნიგალძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	გიორგი ხაბაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
საპირფარეშოს დამლაგებელი	მზია შავაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	მარინე თავდგირიძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	დარიკო ხაბაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	ლია მახარაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
მძღოლი (სატვირთო)	ელგუჯა ბაჯელიძე	1	300
		15	4100
სულ ჯამი საშტატო		45	15380
სულ ჯამი შტატგარეშე თანამშრომლების		15	4100
სულ ჯამი		60	19480

დირექტორი  
ბუღალტერი

მ. სურმანიძე  
გ. მახაჭაძე



2016 წლის განმავლობაში სწავლის შედეგების მიხედვით

	ინგლის	ებრაული	არაბი	სპანოლი	იაპონი	რუსი	იალი	აღმოსავლ	სეპარეტი	სეპარეტი	იუდაური	სეპარეტი	სეპარეტი	სეპარეტი										
	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო										
	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო	საბავშვო										
სკოლა (კლასი)	1114	54	482,89	729,95	200	537,2	262	509,9	808	660	300	669	300	684	300	711	300	602,78	169,95	678	300			
MESSEDE BENIS 7973-PP (კლასი)	2439,76	1330,6	2161,44	1010,02	2596,54	1247,02	2071,48	1266	1880,95	804,9	2389,12	1044	7792	1116,8	1621,87	648,6	1442,7	630	2088	1178,8	2713,48	882,8	2066,68	883,2
სკოლა (კლასი)	2488,37	1185	2731,97	1490	3134,45	1529	3218,32	1570	3573,8	1670	3748,56	1705	3623,46	1624,87	3722,18	1444,02	2834,56	1175	3850,54	1624,87	4811	2030	282,04	124,6
სკოლა (კლასი)	850,66	435	313,95	140,5	0	257,17	150	0	0	0	0	0	6	0	512,83	236	774,49	346	651,63	274,95	0	0	3141,33	1389,97
სკოლა (კლასი)	1923	900	1293	900	1925	900	1881,02	882	1899	900	1964,7	885,2	1991,25	885	1991,5	900	2025	900	2070	900	2106	900	2160	900
სკოლა (კლასი)	0	0	0	0	0	0	0	0	2820,6	1304	2973,56	1199,02	2952	1180	3699,36	1468	272,75	946	2106,4	872	2728,42	881	2154,07	920,8
სკოლა (კლასი)	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	273,5	120	248,97	100	236	100	0	0
ჯამი	7042,19	3994,8	7643,25	3779,47	8104,26	3876,02	8345,19	4130	10793,25	5048,6	11935,94	5133,22	12027,71	5106,07	11716,74	4986,52	10207	4414	12544,94	5260,62	12007,68	4963,75	10482,72	4518,77



2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება				კატეგორიის/კონსტრუქციის კოდი CPV
				№	ფ. შ. კ.	ფ. რ.	თ. ანბ.	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისიოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	1	03.01.2017	31.01.2017	1402.5	
2	ნარჩენების გატანა	გამართლებული შესყიდვა	შპს „სანდასუფთავება“	2	03.01.2017	31.12.2017	2900	90500000
3	საკანცელარიო საქონლის შექმნა	გამართლებული შესყიდვა	შპს „კანცელმე“	3	03.01.2017	31.12.2017	2000	22800000
4	კომპიუტერული ტექნიკის და მისი აქსესუარების შექმნა	გამართლებული შესყიდვა	შპს „ალფა“	4	03.01.2017	31.12.2017	2000	30100000
5	ჰიგიენური აქსესუარების მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „თურსა“	5	03.01.2017	31.12.2016	3000	
6	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	შპს „აიხი“	6	03.01.2017	31.12.2016	5000	
7	საპოხ-საცხები მასალები	გამართლებული შესყიდვა	შპს „ფლამინგო ჯორჯია“	7	09.01.2017	31.12.2017	3000	
8	ტექნიკის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „პარტნიორი 2012“	8	13.01.2017	31.12.2017	100	
9	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	გამართლებული შესყიდვა	სს „სილენტი“	9	13.01.2017	31.12.2017	300	64200000
10	საფოსტო საკურიერო მომსახურება	გამართლებული შესყიდვა	შპს „საქართველოს ფოსტა“	10	16.01.2017	31.12.2017	100	64100000
11	გასანათებელი მიწიბინძურების მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „დბ“	11	23.01.2017	31.12.2017	9300	31500000
12	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისიოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	12	02.02.2017	30.02.2017	1462.5	
13	სპეც-ტანსაცმელის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	შპს „უნიფორმა ბლუსი“	13	09.02.2017	31.12.2017	2000	18400000
14	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“	14	09.02.2017	31.12.2017	12000	CON160000061
15	ოთლირებული მათეულის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	სს „საქაბელი“	15	10.02.2017	31.12.2017	1000	31300000
16	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს NEW TECHNICS	16	24.02.2017	31.12.2017	2000	39200000
17	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „ნიუბიგეი“	17	24.02.2017	31.12.2017	3000	
18	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს GEOTUR XXI	18	24.02.2017	31.12.2017	2000	90917000
19	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისიოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	19	01.03.2017	31.03.2017	2808	
20	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	შპს რომპეტროლ საქართველო	20	01.03.2017	31.12.2017	19600	CON160000059

21	ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში სანაგვე კონტეინერების განლაგებას მომსახურება. ავტომანქანა გაზ 53 ა საბელშეფო N-- NON544.	გამართლებული შესყიდვა	ფ/3 სულოკო ბერიძე	21	06.03.2017	31.03.2017	1700	6010000
22	ნავაგომეტი მანქანის საწვავმწვევი კატალიზატორ SGR Adblue მოწოდება.	გამართლებული შესყიდვა	შპს ურბან მოტორსი	22	07.03.2017	31.12.2017	1000	9050000
23	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეტანა ნაგავსაყრელზე	გამართლებული შესყიდვა	შპს „აკაროლლუ“	23	07.03.2017	31.01.2018		7250000
24	GPS-ის დამონტაჟება	გამართლებული შესყიდვა	ფ/3 გალაქტიონ პაშკოვი	24	09.03.2017	31.12.2017	800	
25	მანქანა ცხოველების გაუნებლყოფა	გამართლებული შესყიდვა	შპს „GEBER“	25	14.03.2017	31.12.2017	4000	
26	საოფისე აქსესუარების მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	ი/მენარმე მავყალა ბოლქვაძე	26	14.03.2017	31.12.2017	200	
27	ავტომანქანის სააუქციონო შეფასება	გამართლებული შესყიდვა	შპს ექსპერტი XXI	27	20.03.2017	31.12.2017	100	
28	საოფისე ინვენტარის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	ი/მენარმე რომან დიასამიძე	28	20.03.2017	31.12.2017	1000	
29	სატელეფონო მომსახურება	კომპლიმენტული ტენდრი	შპს „მაგთიკომ“	29	29.03.2017	01.03.2018	1000	CON170000034
30	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „გაჩი-ნაიი“	30	31.03.2017	31.12.2017	1000	
31	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისილი პეტროლიუმ ჯორჯია“	31	31.03.2017	30.04.2017	1582.5	
32	ავტო-ტექ მოსახურება (ორგანიზაციაში არსებული ტექნიკის სარემონტო სამუშაოების შესრულება).	გამართლებული შესყიდვა	ი/მენარმე რამინ საკანდელიძე	32	03.04.2017	31.12.2017	3500	
33	აუქციონის გამოცხადება	გამართლებული შესყიდვა	შპს გაზეთი აქარა და ადარა	33	03.04.2017	31.12.2017	100	
34	პოლიგრაფ სერვისის მომსახურება (სტეკერების დამზადება)	გამართლებული შესყიდვა	ინდ/მენარმე ირმა ბურჭულაძე	34	12.04.2018	31.12.2017	1000	
35	ნავაგომეტი მანქანის შეკეთება	გამართლებული შესყიდვა	შპს ურბან მოტორსი	35	18.04.2017	31.03.2019	10000	50100000
36	საოფისე ინვენტარის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „მარიამი 2010“	36	18.04.2017	31.12.2017	350	44613200
37	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	შპს „სიკარ ჯორჯია პეტროლიუმ“	37	21.04.2017	31.12.2017	28320	CON160000061
38	საპროფარმეუტის კარ ფანჯრის ეკეთება	გამართლებული შესყიდვა	შპს „ველა“	38	21.04.2017	31.12.2017	800	44221000
39	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისილი პეტროლიუმ ჯორჯია“	39	01.05.2017	31.05.2017	1560	

40	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგანა ნაგავსაყრელზე ავტომანქანის დაქორავება	გამართლებული შესყიდვა	შპს „სერვისი 2016	40	08.05.2017	31.12.2017		90500000
41	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	ფიზპირი ზურაბ დიასამიძე	41	08.05.2017	31.12.2017	1200	
42	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	43	29.05.2017	30.06.2017	1560	
43	ავტომანქანის სათარაგო ნაწილებს მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	ინდ/მენარმეზგრაბ ცეცხლოძე	44	26.06.2017	31.06.2017	3000	34300000
44	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	45	29.06.2017	31.07.2017	1624	
45	მავთულბადის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „გილდა	46	18.07.2017	31.12.2017	1000	44313100
46	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს ლუკა-2014	47	24.07.2017	31.12.2017	1000	39300000 39100000 39700000
47	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	48	31.07.2017	31.08.2017	1600	
48	გენერატორი მუხადულელელი და მანქანის სარეზი (კერხერი) შეტენა	გამართლებული შესყიდვა	შპს ჯიჯი 13	49	04.08.2017	31.12.2017	4900	31130000 42924730
49	მალალი გამავლობა ა/მანქანის შეტენა	გამართლებული შესყიდვა	ფიზპირი მამუკა ზიბიძე	50	24.08.2017	15.08.2017	7200	NAT170009508
50	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	51	29.08.2017	30.09.2017	1600	
51	ავტო-ტექმომსახურება	გამართლებული შესყიდვა	შპს მიტა	52	29.08.2017	31.12.2017	700	50100000
52	სტუმრების გამასპინძლება	გამართლებული შესყიდვა	ინდ/მენარმეზგრაბი სამხიძე	53	29.08.2017	31.12.2017	1000	55500000
53	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	54	27.09.2017	30.10.2017	1600	
54	ავტომანქანის საბურავის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს „ლუკა მოტორსი“	55	27.09.2017	31.12.2017	220	34351100
55	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	56	30.10.2017	31.11.2017	1632	
56	საწვავის შესყიდვა	გამართლებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	57	28.11.2017	31.12.2017	1696	
57	სამფაზიანი ამომრთველის მოწოდება	გამართლებული შესყიდვა	შპს ლუკა-2014	58	30.11.2017	31.12.2017	2800	31153000
							167317.5	



დირექტორი  
ბუღალტერი

3.11.17  
[Handwritten signature]

2018 წლის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის სახელები	მაშობელის დასახელება	ხელშეკრულება			ტენდერის/საკონტრაქტოების კოდი
				№	ს. მ. წ.	ტენდერი	
1	საწყვიტის შესყიდვა	3	სსს რაზმბრალი საქონილი	4	5	6	819
1	საწყვიტის შესყიდვა	2	კომპლიტირებული ტენდერი	1	25.12.2017	31.12.2018	50760 CON170000070
2	საწყვიტის შესყიდვა	3	კომპლიტირებული ტენდერი	2	25.12.2017	31.12.2018	51360 CON170000071
3	საწყვიტის შესყიდვა	4	გამართლებული შესყიდვა	3	29.12.2017	10.01.2018	1953
4	საწყვიტის შესყიდვა	4	გამართლებული შესყიდვა	4	03.01.2018	31.12.2018	1000 34351100
5	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	5	გამართლებული შესყიდვა	5	05.01.2018	31.12.2018	2000 228000000 30100000
6	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	6	გამართლებული შესყიდვა	6	05.01.2018	31.12.2018	3000 90500000
7	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	7	გამართლებული შესყიდვა	7	05.01.2018	31.12.2018	4800 33700000
8	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	8	გამართლებული შესყიდვა	8	05.01.2018	31.12.2018	1000 72500000
9	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	9	გამართლებული შესყიდვა	9	05.01.2018	31.12.2018	4500 50100000
10	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	10	გამართლებული შესყიდვა	10	05.01.2018	31.12.2018	300 64200000
11	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	11	გამართლებული შესყიდვა	11	05.01.2018	31.12.2018	4000 50100000
12	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	12	გამართლებული შესყიდვა	12	05.01.2018	31.12.2018	4200 393000000 3910000 397000000
13	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	13	გამართლებული შესყიდვა	13	10.01.2018	31.12.2018	1500 31300000
14	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	14	გამართლებული შესყიდვა	14	10.01.2018	31.12.2018	4800 18400000
15	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	15	გამართლებული შესყიდვა	15	12.01.2018	31.12.2018	100 64100000
16	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	16	გამართლებული შესყიდვა	16	15.01.2018	31.12.2019	4500 393000000 3910000 397000000
17	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	17	გამართლებული შესყიდვა	17	15.01.2018	31.12.2018	2000 39300000
18	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	18	გამართლებული შესყიდვა	18	17.01.2018	31.12.2018	120
19	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	19	გამართლებული შესყიდვა	19	17.01.2018	31.12.2018	1000 39200000
20	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	20	გამართლებული შესყიდვა	20	17.01.2018	31.12.2018	4000 85200000
21	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	21	გამართლებული შესყიდვა	21	17.01.2019	31.12.2018	1000
22	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	22	გამართლებული შესყიდვა	22	29.01.2018	15.02.2018	1953
23	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	23	გამართლებული შესყიდვა	23	06.02.2018	31.12.2018	9644 31500000
24	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	24	გამართლებული შესყიდვა	24	12.02.2018	31.12.2018	4800 9210000
25	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	25	გამართლებული შესყიდვა	25	26.02.2018	15.03.2018	1953 09100000
26	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	26	გამართლებული შესყიდვა	26	02.03.2018	31.01.2019	3800 com 700000114
27	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	27	გამართლებული შესყიდვა	27	02.03.2018	08.05.2018	3556 NATI 80002531
28	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	28	გამართლებული შესყიდვა	28	9.03.2018	31.12.2018	2000 24224000
29	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	29	გამართლებული შესყიდვა	29	15.03.2018	31.12.2018	365 98300000
30	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	30	გამართლებული შესყიდვა	30	15.03.2018	31.12.2018	200 50110000
31	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	31	გამართლებული შესყიდვა	31	20.03.2018	10.05.2018	4320 NAT180002802
32	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	32	გამართლებული შესყიდვა	32	30.03.2018	18.04.2018	1899 09100000
33	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	33	გამართლებული შესყიდვა	33	02.04.2018	31.12.2018	4700 96670000
34	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	34	გამართლებული შესყიდვა	34	26.04.2018	30.04.2018	1899 09100000
35	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	35	გამართლებული შესყიდვა	35	01.05.2018	15.05.2018	1899 09100000
36	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	36	გამართლებული შესყიდვა	36	15.05.2018	31.12.2018	1000 18400000
37	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	37	გამართლებული შესყიდვა	37	28.05.2018	11.06.2018	1899
38	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	38	გამართლებული შესყიდვა	38	07.06.2018	31.12.2018	4900 50100000
39	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	39	გამართლებული შესყიდვა	39	28.05.2018	12.07.2018	2025 09100000
40	საინჟინერიო საქონლის შესყიდვა	40	გამართლებული შესყიდვა	40	29.06.2018	31.12.2014	4000 9210000

41	საპროცენტო მოქონება	კომპლექსური	სს "საქართველო"	41	16.07.2018	31.12.2018	380	34300000
42	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	42	16.08.2018	16.12.2018	2025	09100000
43	ფინანსური ინსტრუმენტები	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	43	16.08.2018	31.12.2018	320	71600000
44	საპროცენტო მოქონება	საპროცენტო	სს "საქართველო"	44	07.08.2018	30.09.2018	14700	NAT180011100
45	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	45	27.08.2018	14.09.2018	2025	09100000
46	საპროცენტო მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	46	04.09.2018	31.12.2018	2600	343511002
47	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	47	27.09.2018	15.10.2018	2070	39300000
48	საპროცენტო მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	48	10.10.2018	31.10.2018	1000	39100000
49	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	49	30.10.2018	15.11.2018	2106	1600
50	საპროცენტო მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	50	11.2018	31.12.2018	1600	30100000
51	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	51	27.11.2018	10.12.2018	2160	
52	საპროცენტო მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	52	03.12.2018	31.12.2018	520	34300000
53	საწვდომი მოქონება	განსრულებული შესყიდვა	სს "საქართველო"	53	03.12.2018	31.12.2018	800	34300000
								237011

დირექტორი  
სტალიანი


მ. ბერიძე



ჯამი

დანახითი/4

შპს "დანი-აუდიტი"  
DANI - AUDIT LTD



№ 02/2-68

"14" "ივნისი" 2019 წელი

ცალკეული დასახელების მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო  
ღირებულების დადგენა

ქონების მესაკუთრე:

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ (ს/კ 246761213)

დამკვეთი

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ (ს/კ 246761213)

ქ. ბათუმი  
2019



შპს „ქედის კომუნალურსერვის“ (ს/კ 246761213) და შპს „დანი-აუდიტს“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება N 28-ის თანახმად, შპს „დანი-აუდიტი“-ს შემფასებელმა ჯემალ ძნელაძემ განახორციელა შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს (ს/კ 246761213) მიერ წარმოდგენილი ცალკეული დასახელების მოძრავი ქონების ინსპექტირება და დასაწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრა.

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს (ს/კ 246761213) მიერ საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრავად წარმოდგენილი მოძრავი ქონებების საწყისი საიჯარო ღირებულება თვეში შეფასების თარიღისთვის განისაზღვრა:

- 1, ბორბლებიანი ტრაქტორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:
  - დღე - 340 (სამასორმოცი) ლარით;
  - თვე - 2380 (ორიათას სამასოთხმეცი) ლარით.
- წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 4350 (ოთხიათას სამასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

- 2, ექსკავატორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:
  - დღე - 210 (ორას ათი) ლარით
  - თვე - 2730 (ორიათას შვიდასოცდაათი) ლარით.
- წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 9 950 (ცხრათას ცხრასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

შენიშვნა: 1, საწყისი საიჯარო ქირა მოიცავს მემანქანის (ოპერატორის) ხელფასს (საწვავის ხარჯის გარეშე).

2, შესაფასებელი მექანიზაციის საშუალებების მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე (ფაქტიურად ნამუშევარი დღეები) შესაძლებელია გადაიხედოს საწყისი საიჯარო ღირებულება.

მოძრავი ქონებების საწყისი საიჯარო ღირებულებების განსაზღვრისადვის განხორციელებული ანალიზი მოცემულია ანგარიშის შესაბამის ნაწილებში. მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება შემფასებლის პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას.

წარმოდგენილი შეფასება შესრულებულია საქმის ცოდნით და უდიდესი პასუხისმგებლობით, ქონების შეფასების საერთაშორისო კომიტეტის “შეფასების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტების სრული დაცვით.

პატივისცემით,  
შპს დანი-აუდიტი“-ს დირექტორი  
შემფასებელი ჯემალ ძნელაძე



1. ძირითადი ფაქტებისა და შედეგების მოკლე მიმოხილვა  
დამკვეთი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ (ს/კ 246761213)  
შემფასებელი: შპს „დანი-აუდიტი“ (ს/კ 245427550).  
შემფასებლის რეკვიზიტები: ქ. ბათუმი ანდრონიკაშვილის ქ N 45,; ს/კ 245427550.  
შეფასების საფუძველი: მხარეთა შორის 30,05,2019 წ. გაფორმებული ხელშეკრულება N 28;  
შეფასების ობიექტი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ -ს (ს/კ 246761213) საკუთრებაში  
არსებული მექანიზაციის საშუალებები.  
ინსპექტირების (ინფორმაციის მოპოვების) დრო: 2019 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 12  
ივნისი.

შეფასების ანგარიშის შედეგის თარიღი: 2019 წლის 13 ივნისი.  
შეფასების თარიღი 2019 წლის 13 ივნისი.  
შეფასების მიზანი: საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრა;  
შეფასების ბაზა: სტანდარტი 101 „სამუშაოს მასშტაბები“, სტანდარტი- 102  
გამოკვლევები და შესაბამისობა“, სტანდარტი-103 „ანგარიშის მომზადება“ და სტანდარტი- 300  
მანქანა-მოწყობილობები და დანადგარები“.  
ღირებულების სახე- საწყისი საიჯარო ღირებულება.  
შეფასების მეთოდი- საბაზრო (გაყიდვების შედარების) მეთოდი.

2. შეფასების ხარისხის სერთიფიკატი  
წინამდებარე ანგარიშზე ხელმოწერილი შემფასებელი ადასტურებს, რომ არსებული  
მონაცემების შესაბამისად:

- ანგარიშში მოცემული ფაქტები შეესაბამება რეალობას.
- ანგარიშში მოცემული ანალიზი, შეხედულებები და დასკვნები ეკუთვნის  
შემფასებელს და მოქმედია მხოლოდ იმ შემზღუდავი პირობებისა და დაშვებების ფარგლებში,  
რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის შემადგენელ ნაწილს.
- შემფასებელს არც ამჟამად და არც მომავლისათვის არ გააჩნია რაიმე ინტერესი  
შესაფასებელი ობიექტის ღირებულების სიდიდის მიმართ და მოქმედებს მიუკერძოებლად.
- შემფასებლის ანაზღაურება არაა დამოკიდებული შეფასებელი ობიექტის  
საბოლოო ღირებულებაზე, აგრეთვე იმ მოვლენებზე და შედეგებზე, რომლებიც შეიძლება  
გამოიწვიოს დამკვეთის ან მესამე პირების მიერ წინამდებარე ანგარიშის გამოყენებამ.
- შეფასების ანგარიში მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს შესაფასებელ  
ღირებულებასთან მიმართებაში კონკრეტული თარიღისათვის და არ შეიძლება ჩაითვალოს  
გარანტიად იმისა, რომ აღნიშნული ღირებულება შემდგომში არ განიცდის ცვლილებას.
- ხელშეკრულების პირობების თანახმად, შეფასება მოხდა დამკვეთის მიერ  
მოწოდებული მასალების საფუძველზე და შესაბამისად შემფასებლებს უშუალოდ ადგილზე არ  
მოუხდენიათ შესაფასებელი ობიექტის ინსპექტირება.

3. მონაცემები შეფასებაში მონაწილე პირთა შესახებ  
ჯემალ მწელაძე - შპს „დანი-აუდიტი“-ს დირექტორი. სერტიფიცირებული  
შემფასებელი. დაბადებული 1956 წელს.  
-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი  
საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი - ქონების შემფასებელი;  
სერტიფიკატები  
სერტიფიცირებული აუდიტორი - სარეგისტრაციო N SARAS-A-801109  
უმრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი N 036;  
მომრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი N 036/მ;  
არამატერიალური აქტივების შემფასებლის სერტიფიკატი N 036/ს  
ეკონომიკური საქმიანობის სფეროში მუშაობის გამოცდილება-40 წელი.

აუდიტური საქმიანობის სფეროში მუშაობის გამოცდილება – 22 წელი.  
შეფასებითი სამუშაოების განხორციელების გამოცდილება – 8 წელი.

#### 4. ძირითადი შემზღუდავი პირობები და დაშვებები

ისევე როგორც ნებისმიერ შეფასებას, მოცემულ შეფასების პროცესსაც თან ახლდა შემზღუდავი პირობები და შემფასებლის მიერ გაკეთებული დაშვებები, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

შეფასების პროცესის თანმხლები შეზღუდვები:

- შემფასებელმა ჩაატარებია შესაფასებელი ობიექტების ინსპექტირება.
- შემფასებელი ეყრდნობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, შესაბამისად შემფასებელი არ აგებს პასუხს მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და შესაძლო ცდომილებაზე.

შეფასების პროცესის თანმხლები დაშვებები:

- წინამდებარე ანგარიში სარწმუნოა მხოლოდ სრული მოცულობის და მხოლოდ მასში მითითებული მიზნისათვის გამოყენების შემთხვევაში;

- შემფასებელი არ იღებს პასუხისმგებლობას შესაფასებელ ობიექტზე საკუთრების უფლების იურიდიულ აღწერასთან დაკავშირებით.

- სურათები, თუ ისინი მოყვანილია ანგარიშში, ითვლება მიახლოებითად. ისინი საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელს შეუქმნას თვალსაჩინო წარმოდგენა შესაფასებელ ქონებაზე და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე სხვა მიზნისათვის.

- შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა რაიმე ფარული ფაქტორების არ არსებობა, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ შესაფასებელი ობიექტის საწყის საიჯარო ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე.

- შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სპეციალური იურიდიული ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

- შეფასების პროცესში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან და ითვლება სარწმუნოდ. მიუხედავად ამისა შემფასებელი გარანტიას არ იძლევა მათ აბსოლუტურ სიზუსტეზე, ამიტომ სადაც ეს შესაძლებელია, მითითება კეთდება ინფორმაციის წყაროზე.

- პროგნოზები, რომლებსაც შეიცავს ანგარიში, ეფუძნება მიმდინარე საბაზრო პირობებს და შესაძლო მოკლევადიან ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოთხოვნა-მიწოდების პროცესების ცვლილებაზე. ეს პროგნოზები დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდების ბაზარზე მომხდარ ცვლილებაზე.

- შემფასებლის აზრი შეფასების ობიექტის საიჯარო ღირებულებასთან დაკავშირებით მოქმედია მხოლოდ შეფასების დროისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე.

- ჩვენ ვიყენებდით შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ პროცედურებს. ჩვენ არ შეგვიძლია მოგვით გარანტია, რომ თანხის მიღებული სიდიდე ან შეფასებისას მიღებული დაშვებები არ იქნება გადასინჯული ან საკამათო მესამე მხარის მიერ.

- ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია საგაზეთო გამოცემების, ინტერნეტის მეშვეობით, რაც გამოწვეულია იმით, რომ შეფასების პერიოდისთვის არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს მოძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაციის ზუსტი ან მიახლოებითი სტატისტიკური მონაცემები.

- შემფასებელს არ ევალება სასამართლოში გამოცხადება ან სხვა ფორმით დამოწმება შედგენილ ანგარიშზე ან შესაფასებელ ობიექტზე, გარდა დამკვეთთან გაფორმებული ცალკე ხელშეკრულების ან სასამართლოს მიერ ოფიციალური გამოძახებისა.

- შემფასებელი აყენებს კონფიდენციალობის მოთხოვნას შეფასების მასალების მესამე პირებზე გადაცემაზე მისთვის წერილობითი შეტყობინების გარეშე. დადგენილი პროფესიონალური სტანდარტების შესაბამისად შემფასებელი. ასევე კონფიდენციალურად ინახავს შეფასების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.

- არც შემფასებელს და არც დამკვეთს უფლება არ აქვთ შეფასების შედეგები გამოიყენონ სხვა მიზნებისათვის, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა.

- შეფასების ანგარიში გამოხატავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს შესაფასებელი ქონებების საწყისი საიჯარო ღირებულების მიმართ და არ ითვლება იმის გარანტიად, რომ შესაფასებელი ქონება გადაეცემა სხვა პირს ზუსტად იმ თანხით, რაც მითითებულია წინამდებარე ანგარიშში.

#### 5. შეფასების პროცესში გამოყენებული კანონები, ნორმატიული აქტები და სტანდარტები

– საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;
- შეფასების საერთაშორისო სტანდარტები;

#### 6. ინფორმაციის წყაროები

წინამდებარე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის მოძიება და შეკრება ხდებოდა სხვადასხვა არხებიდან და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან. ისინი შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაცია;
- პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებიდან მიღებული ინფორმაცია;
- სპეციალური ლიტერატურიდან მიღებული ინფორმაცია.
- ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაცია.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოპოვებული ინფორმაცია.

#### 7. შეფასების დანიშნულება

დამკვეთისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება შესაფასებელი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების შესახებ.

#### 8. შეფასების მეთოდიკა

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS 2017) მიხედვით შეფასებისას უნდა დადგინდეს შესაფასებელი ქონების საბაზრო საიჯარო ქირა.

#### 9. ძირითადი განსაზღვრებები

საბაზრო ღირებულება შეფასებითი (გაანგარიშებითი) თანხა, რომლითაც აქტივი უნდა გაიყვალოს (იჯარით გაიყვას) შეფასების თარიღისათვის, გარიგების მსურველ გამყიდველსა და მყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ. „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებულ გარიგებაში, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.

საბაზრო ღირებულების შეფასება არ ითვალისწინებს ფასის ზრდას ან შემცირებას ისეთი სპეციალური პირობების ან ვითარების გათვალისწინებით როგორცაა: არატიპური დაფინანსება, ფასდაკლება, იჯარით უკან დაბრუნება და სხვა ნებისმიერი სპეციალური ღირებულების ელემენტი.

შეფასების მეთოდი შესაფასებელი ობიექტის ღირებულების გამოთვლის წესი (ხერხი) შეფასების ერთერთი მიდგომის ფარგლებში;

აქტივის ფასი - აქტივის შესაძენად მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გადახდილი თანხა, მოცემული მყიდველის ან გამყიდველის ფინანსური შესაძლებლობების, მოტივაციის ან სპეციფიკურ ინტერესის გამო გადახდილი ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელსაც მოცემულ აქტივს სხვები ანიჭებენ;

ღირებულება - მოსაზრება - ყველაზე მეტად მოსალოდნელი ფასის შესახებ, რომელსაც აქტივში გადაიხდიან გაცვლის (იჯარით გაცემის) პროცესში, ან აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შესახებ (მათ შორის საიჯარო ქირით მიღებული ან ჰიპოთეკური შემოსავლების შესახებ);

გაუმჯობესება - შენობა, აღჭურვილობა ან მიწის ნაკვეთის ცვლილება, რომელსაც გააჩნია მუდმივი ხასიათი და დაკავშირებულია შრომით და კაპიტალურ დანახარჯებთან და მოწოდებულია აამაღლოს ქონების სარგებლიანობა და ღირებულება. გაუმჯობესებას გააჩნია გამოყენების სხვადასხვა მახასიათებლები და ეკონომიკური სიცოცხლის სხვადასხვა ვადა.

შეფასების პრინციპი - სარგებლიანობის (გამოსადეგობის) პრინციპი - ღირებულების ძირითად კრიტერიუმად მოიაზრებს მის სარგებლიანობას, ანუ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ადამიანების ესა თუ ის მოთხოვნილება; ჩანაცვლების პრინციპის თანახმად, ფასი შეთავაზებულ (გაყიდულ) ობიექტზე არ აღემატება ანალოგიური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შეთავაზების (გარიგების) ფასებს და რომ გაცნობიერებული მყიდველი საბაზრო ღირებულების სხვა კონცეპტუალური საფუძვლების არსებობისას, მასში გადაიხდის ანალოგიური ფუნქციონალური ობიექტებისათვის ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასის მეტნაკლებად შესაბამის თანხას; მოლოდინის პრინციპი - ითვალისწინებს ქონების ფლობით მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოლოდინს; მოთხოვნა - მიწოდების პრინციპი - ნებისმიერი პროდუქციის ბაზარზე ფასები ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით; ცვლილების პრინციპი - ითვალისწინებს ფასებისა და ღირებულების დინამიკის ცვალებადობას დროის ფაქტორის შესაბამისად; გარე ფაქტორების ზემოქმედების პრინციპი - ეკონომიკური კრიზისი, დეპრესია, წარმოების ზრდა, ბუმი და სხვა სახის ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების გავლენა ობიექტის ღირებულებაზე.

“შეფასების თარიღისთვის” - იგულისხმება, რომ გასაანგარიშებელი საბაზრო ღირებულება შეეხება დროის კონკრეტულ მომენტს. შეფასების თანხა გამოხატავს ბაზრის რეალურ მდგომარეობას და ვითარებას შეფასების თარიღისთვის და არა წარსულის ან მომავალი თარიღისთვის.

შეფასება - ღირებულების განსაზღვრის (გაანგარიშების) პროცესი;

შეფასების ანგარიში - დოკუმენტი, რომელშიც აისახება, მოცემული დავალების ინსტრუქციები, შეფასების საფუძველი და მიზანი, ანალიზის შედეგები, რომელსაც დაეყრდნო მოსაზრება ღირებულების შესახებ;

მოძრავი ქონება - მოიცავს ინტერესს ისეთ მატერიალურ და არამატერიალურ საგნებში, რომლებიც არ წარმოადგენს უძრავ ქონებას. მატერიალური მოძრავი ნივთი, როგორც წესი, მუდმივად არ არის დამაგრებული უძრავ ნივთზე და ახასიათებს პორტარტულობა;

მოკლევადიანი აქტივები - აქტივები, რომლებიც ხანგძლივად არ გამოიყენება საწარმოს საქმიანობაში. მაგალითად, საწარმოს მიერ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, მოკლევადიანი ინვესტიციები, ფული ბანკსა და საღაროში;

გრძელვადიანი აქტივები - წარმოადგენს მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც შემდეგ ორ ფართო კატეგორიას მიეკუთვნება: ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები;

ძირითადი საშუალებები - მატერიალური, ანუ ფიზიკური აქტივები, რომლებიც ხანგძლივად გამოიყენება საწარმოს საქმიანობაში. მათ შორის: მიწა და შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები;

სხვა გრძელვადიანი აქტივები - აქტივები, რომლებიც ხანგძლივად არ გამოიყენება საწარმოს საქმიანობაში, მაგრამ მოსალოდნელია, რომ საწარმოს მფლობელობაში იქნება გრძელვადიან პერიოდში. მათ შორის: გრძელვადიანი ინვესტიციები, გრძელვადიანი

დებიტორული დავალიანება, გუდვილი, პატენტები, სავაჭრო ნიშნები და სხვა მსგავსი აქტივები;

საბაზრო საიჯარო ქირა არის გაანგარიშებითი თანხა, რის საფასურადაც ქონება უნდა გაიცეს იჯარით დაინტერესებული მეიჯარის მიერ დაინტერესებულ მოიჯარეზე შეფასების თარიღისათვის, იჯარის შესაფერისი პირობებით, „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებული გარიგებით, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე იმოქმედებდა შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.

**10. შეფასების ძირითადი მეთოდოლოგია და ცნება**

1. შეფასების ობიექტის განსაზღვრა:
  - შემკვეთისაგან შეფასების ობიექტის საერთო მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება.
  - გამოკვლევის მასშტაბებისა და და სამუშაოს შესრულების ვადების განსაზღვრა.
2. შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება.
  - ბაზრის კვლევა და ანალიზი;
  - ობიექტის ვიზუალური დათვალიერება და აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება;
  - ინტერვიუ კომპეტენტურ პირთან;
3. დოკუმენტაციის გამოკვლევა.
4. ღირებულების განსაზღვრა შედარებითი მიდგომის ფარგლებში.
  - ანალოგების შესახებ ინფორმაციის მოგროვება (ღირებულება რომლებიც შეფასების თარიღისათვის იქნა შეთავაზებული სარეალიზაციოდ);
  - კორექტირების შეტანა;
  - საშუალო ღირებულების განსაზღვრა;
5. ღირებულების განსაზღვრა დანახარჯებითი მიდგომის ფარგლებში.
  - სრული ღირებულების განსაზღვრა შედარებითი მიდგომის ფარგლებში;
  - ცვეთის შეფასება;
  - ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა;
6. შეფასების შედეგების შეჯერება და საბოლოო ღირებულების განსაზღვრა.
7. შეფასების ანგარიშის შედგენა.

შპს „დანი-აუდიტი“-ს სპეციალისტების მიერ განხორციელებულია შეფასების ობიექტის განსაზღვრა და მის ირგვლივ დეტალური ინფორმაციის მოპოვება. საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრად წარმოდგენილი იქნა:

	მაჩვენებლები	მექანიზაციის საშუალებები	
1	დასახელება	ბორბლიანი ტრაქტორი	ექსკავატორი
2	მარკა	MTZ	MST
3	მოდელი	BELARUS 1221 2	M 544
4	გამოშვების წელი	2013	2016
5	ძრავი	7,12	4,4
6	დანიშნულება	სასოფლო	საამშენებლო
7	სახ №	BS016	BS0955
8	შემზღვევა გარემი	არა	არა
9	ფერი	ლურჯი	ყვითელი
10	ტექპასპორტი	BV1124368	BV2218138
11	საიდენტიფიკაციო №	12039360	M544SP2102719
12	საწვავი	დიზელი	დიზელი
13	ტექნიკური მდგომარეობა	ნორმალური	ნორმალური

უფლებამოსილ პირისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რემ გასაქირავებელი მექანიზაციის საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა ნორმალურია.

#### 10. მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრა

შესაფასები ობიექტის ღირებულების გამოთვლა განხორციელდა შედარებითი მეთოდის ფარგლებში. განისაზღვრა შესაფასები ქონებების (ან მის დამზადებაზე გამოყენებული მასალების) მოქმედი საშუალო შეწონილი ფასებით.

დასკვნაში მოცემული ღირებულება წარმოადგენს შემფასებლის მიერ პროფესიული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე ჩატარებული განსჯის შედეგს და ქონების ღირებულების შესახებ ობიექტურად დასაბუთებულ აზრს.

ქონების საიჯარო ღირებულების განსაზღვრისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ გარემოებით, რომ შევისწავლეთ ბაზარზე მათი იჯარით გაცემის შესაძლებლობები და ფასები, გავანალიზეთ საშუალო მაჩვენებლები და განხორციელდა შესადარისი ინფორმაციის მოძიება.

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური სიზუსტით შეფასება შეუძლებელია, რადგან შეფასების შედეგად დგინდება მხოლოდ საგარაუდო ღირებულება, აისახება შემფასებლის დასაბუთებული აზრი ქონების ღირებულების შესახებ და არა ფასი. ფასი არის ფაქტი, უკვე განხორციელებული გარიგების შედეგად დაფიქსირებული თანხა.

ამდენად, შეფასებული ღირებულება შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს უკვე მომხდარი ან მოსახდენი გარიგების შედეგად დაფიქსირებულ/დასაფიქსირებელ თანხაზე. ჩვენი შეფასების ზღვრული ცდომილება შეადგენს 10-15%-ს.

ამრიგად განისაზღვრა შესაფასებელი ქონების პარამეტრების დაზუსტება და სხვა ინფორმაციის მიღება, რომლის თანახმადაც გამოვლინდა შემდეგი:

შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ დამკვეთი - შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ თავისი ფუნქციონალური უფლებამოსილების განსახორციელებლად ფლობს მექანიზაციის საშუალებებს მექანიზაციის საშუალებებს პოტენციურ მოსარგებლებებს წარმოადგენენ:

ა) ექსკავატორი - მშენებლობის და კომუნალური მომსახურების სექტორში დასაქმებული საწარმოები, ორგანიზაციები;

ბ) ბორბლებიანი ტრაქტორის - ფერმერები და სოფლის მეურნეობის სექტორში და კომუნალური მომსახურების სისტემაში დასაქმებული ფიზიკური და იურდიული პირები. ქედის რაიონში, გეოგრაფული მდგომარეობიდან გამომდინარე ნაწილობრივ სახნავ-სათეს პრიცესებში შეზღუდულია ბორბლებიანი ტრაქტორის გამოყენება.

მშენებლობის პროცესში დასაქმებული პირებიდან მიღებული ინფორმაციით ფაქტიურად მექანიზაციის საშუალებების ქირავნობის მაჩვენებელია ფაქტიურად ნამუშევარი მოტო/სთ-ბი. ექსკავატორის 1 მოტო/სთ-ის მუშაობის გაქირავების ღირებულება ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მერყეობს 30-50 ლარის ფარგლებში, სულ თვის განმავლობაში ფაქტიურად ერთი ერთეული ექსკავატორი მუშაობს 120-150 მოტო/სთ-ს (დღე 6-8 მოტო/სთ). ქონების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სამუშაოთა მასშტაბებისა და ბაზარზე აღნიშნული სახის ტექნიკის მობილიზების შესაძლებლობიდან სამართლებრივი საკითხებიდან (სახელმწიფო საკუთრება) გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამოგვეყენებინა კორექტირების კოეფიციენტი 0,25 ამასთან გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ საშუალოდ თვეში ტექნიკა დატვირთულია არაუმეტეს 10-16 დღე, რაც გახდა საწყისი საიჯარო ღირებულების განგარიშების საფუძველი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბორბლებიანი ტრაქტორის მიერ საშუალოდ ერთი ჰა მიწის მოხვნის ღირებულება რელიეფის გათვალისწინებით მერყეობს 300-350 ლარის ფარგლებში, საშუალოდ დღეში შესაძლებელია მოიხვნას 2-4 ჰა მიწის ნაკვეთი, ანუ საშუალო დღიური საიჯარო ღირებულება მერყეობს 700-1000 ლარის ფარგლებში. ჩვენი მოსაზრებით

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება სპეციფიკური დანიშნულების გამო შეზღუდულია, შესაბამისად მიზანსწრაფილად ჩავთვალეთ გამოგვეყენებინა კორექტირების კოეფიციენტი 0,6. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ საშუალოდ თვეში ტექნიკა დატვირთულია არაუმეტეს 6-8 დღე, რაც გახდა საწყისი საიჯარო ღირებულების გაანგარიშების საფუძველი.

მეორეს მხრივ იმასთან დაკავშირებით რომ შესაფასები ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, მასზე ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის №898 ბრძანებულების „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმა - სახელმწიფო ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით სასყიდლით გადაცემისას ქონების საწყისი სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური განისაზღვრება ქონების მმართველის მიერ, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო თანხის არანაკლებ 5 პროცენტის ოდენობით. შესაფასებლად წარმოდგენილი ობიექტების საწყისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრა: ექსკავატორი - 199 000 ლარი, ბორბლებიანი ტრაქტორი 87 000 ლარი, შესაბამისად მათი წლიური საწყისი საიჯარო ღირებულება არ უნდა იყოს ექსკავატორის 9950 ლარი (თვე 829 ლარი), ხოლო ბორბლებიანი ტრაქტორისა 4 350 ლარი (თვე 363 ლარი).

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა საწყისი საიჯარო ღირებულების გაანგარიშება.

1, ბორბლებიანი ტრაქტორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:

დღე -  $850 - (850 \times 0.6) = 850 - 510 = 340$  (სამასორმოცი ლარი);

თვე -  $340 \times 7 = 2380$  (ორიათას სამასოთხმოცი) ლარი.

წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 4350 (ოთხიათას სამასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

2, ექსკავატორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:

დღე -  $(40 \times 7) - (40 \times 7 \times 0.25) = 280 - 70 = 210$  (ორას ათი) ლარი

თვე -  $210 \times 13 = 2730$  (ორიათას შვიდასოცდაათი) ლარი.

წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 9 950 (ცხრაათას ცხრაასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

შენიშვნა: 1, საწყისი საიჯარო ქირა მოიცავს მემანქანის (ოპერატორის) ხელფასს (საწვავის ხარჯის გარეშე).

2, შესაფასებელი მექანიზაციის საშუალებების მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე (ფაქტიურად ნამუშევარი დღეები) შესაძლებელია გადაიხედოს საწყისი საიჯარო ღირებულება.

შპს დანი-აუდიტი"-ს  
დირექტორი - შემფასებელი ჯ. ძნელაძე





5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №21 დადგენილებით დამტკიცდა, ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლითაც განისაზღვრა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა საერთო ღირებულება განისაზღვრა 390800 ლარით, ხოლო ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის შემცირებულია და შეადგინა 382100 ლარი. 2018 წელს აღნიშნულ მიზნობრივ პროგრამებზე წინა წელთან შედარებით თანხები გაზრდილია და შეადგინა 508568 ლარი.

2017-2018 წლების პროგრამის სახეები და მათზე გათვალისწინებული თანხები მოცემულია შემდეგნაირად:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამები

	ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	2017 წელი		2018 წელი	
		დამტკიცდა	საბოლოო	დამტკიცდა	საბოლოო
თარიღი		30.12.2016	29.12.2017	29.12.2017	28.12.2018
1	"სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის" პროგრამა	28500	16800	25200	16790
2	"ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების" მიზნობრივი პროგრამა	2800	500	1900	1900
3	"ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა	16000	13000	0	0
4	"ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა	0	0	45000	51000
5	"გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა	17500	8500	21000	21000
6	"ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა	19000	14000	15000	15000
7	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა	9500	9500	9500	9500
8	"საცხოვრებელ სახლზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა	30000	47500	30000	28500
9	"სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების" მიზნობრივი პროგრამა	140100	128100	140100	140100
10	"ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის" მიზნობრივი პროგრამა	24800	16200	24800	17900
11	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	102600	102600	105000	105000
12	თემზე დაფუძნებული მოხილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის მიზნობრივი პროგრამა	0	25400	77400	77400
13	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამოხილური ხანდაზმულებისათვის მიზნობრივი პროგრამა	0	0	12700	12700

14	"პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის" მიზნობრივი პროგრამა	0	0	0	11778
		390800	382100	507600	508568

პროგრამების (ქვეპროგრამების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პირველი პროგრამა: „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 28500 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 16432,9 ლარი. 2018 წელს დამტკიცებული იყო 25200 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 16491,52 ლარი. საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე დღიურად დაიხარჯა 1,76 ლარი.

მონიტორინგით გაირკვა, „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განხორციელებისათვის 2017 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა ფირმა შპს „არსი-2“, მან ტენდერი მოიგო 16706,82 ლარად. მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებდა 26 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას. შპს „არსი-2“ ყოველთვიურად წარმოადგენდა დოკუმენტაციას გაწეული მომსახურების დასასაბუთებლად, რომლის საფუძველზეც მას ერიცხებოდა ბიუჯეტიდან თანხა.

აღნიშნულ პერიოდში რამოდენიმეჯერ ჩატარდა მონიტორინგი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, სადაც დარღვევებს ადგილი არ ქონია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები, როცა ბენეფიციარები ყოველდღიურად არ ცხადდებოდნენ საკვების მისაღებად, მაშინ როცა კეთდებოდა მათი წილიც.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა სამსახურების მიერ უკეთესად ჩატარდეს ბაზრის კვლევა რადგანაც ტენდერში მონაწილეებმა არ დასწიონ ბენეფიციარებზე განკუთვნილი პროცედურების ფასები და არ შეიძინოს უხარისხო პროდუქტი.

მეორე პროგრამა: „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2800 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გაიხარჯა -500 ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 17,85%-ია. 2018 წელს აღნიშნულ მიმართლებით ბიუჯეტით დამტკიცებული იყო 1900 ლარი და გაიხარჯა 500 ლარი.

მესამე პროგრამა: „ხუთი და მეტ შვილიან ბავშთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს გათვალისწინებული იყო - 16000 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 12000 ლარი. 2018 წელს აღნიშნული პროგრამა შეიცვალა ოთხ და მეტ შვილიან ბავშთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“-ით, შესაბამისად გაიზარდა დაფინანსების მოცულობა და შეადგინა 51000 ლარი. 2018 წელს პროგრამით ისარგებლა 50-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა და მათ ერთჯერადად გადაეცათ 1000-1000 ლარი, სულ 50000 ლარი.

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოადგენილი აქვთ პროგრამით სარგებლობისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, კერძოდ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები

დედანთან ერთად, შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად და საბანკო რეკვიზიტები. მონიტორინგით დარღვევებს ადგილი არ ქონია.

მეხუთე პროგრამა: „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო - 17500 ლარი, საიდანაც წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 30 ოჯახმა, თითოეულ ოჯახს 250-250 ლარი ჩაერიცხა, სულ გაიხარჯა 7500 ლარი. 2018 წელს გათვალისწინებული იყო 21000 ლარი, ხოლო ხარჯმა 20900 ლარი შეადგინა, აღნიშნულის ზრდა გამოწვეული იყო ერთჯერადი მატერიალური დახმარების თანხის 250 ლარიდან 350 ლარამდე გაზრდით.

პროგრამით სარგებლობა შეეძლო სოციალურად დაუცველ 0-დან 70 000 ქულის მქონე ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახებს. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვს განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად, გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად, ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი მოწმობა გაცემული სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის განყოფილების მიერ და საბანკო რეკვიზიტები.

მეექვსე პროგრამა: „ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 19000 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე დაიხარჯა 12542 ლარი. 2018 წელს აღნიშნულ პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 15000 ლარი, ხოლო შესრულებამ 14024,40 ლარი შეადგინა.

მეშვიდე პროგრამა: „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2017-2018 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 9500-9500 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე შესაბამისად გაიხარჯა 9264 და 8796 ლარი.

მერვე პროგრამა: „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 30000 ლარი, ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად პროგრამის ღირებულება გაიზარდა 47500 ლარამდე, ხოლო შესრულებამ შეადგინა 44917 ლარი. 2018 წელს აღნიშნულ პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 30000 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 28482,35 ლარი.

2017-2018 წლებში შექმნილი თუნუქი მერიის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე გაცემულ იქნა მიზნობრივად.

ჩვენს მიერ დადგინდა, რომ 2018 წელს აღნიშნული პროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 28 ოჯახმა. აღნიშნული 28 პირიდან 2019 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით ცხრა ოჯახმა სახურავის შეცვლა ვერ შეძლო, მიზეზს ისინი ასახელებენ სახურავის ქვეშ მყოფი მასალისა და ფულადი სახსრების არ ქონას. ეს ოჯახებია დაბა ქედის თემიდან შუშანა დიასამიძე, ოქტომბრის თემიდან ვალერი დუმბაძე, ზვარის თემიდან გოდერძი გოგიტიძე, დანდალოს თემიდან გურამ ზაქარაძე, დოლოგნის თემიდან საადეთ დიასამიძე და ლევან ბაჯელიძე, წონიარისის თემიდან ზვიად ტაკიძე, ცხმორისის თემიდან ციციხო ბერიძე და ირმა დიასამიძე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს გაგრძელდა აღნიშნული პროგრამა, მერიის მიერ თავის დროზე ტენდერის გზით შექმნილია სახურავის თუნუქის

მასალა, ის დასაწყობებულია, მაგრამ საჭიროა მერიის მიერ შექმნილმა კომისიამ დროზე შისწავლოს საკითხი და უახლოეს პერიოდში მოახდინოს თუნუქის მასალის ოჯახებზე განაწილება.

მეცხრე პტოგრამა: „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ მიზნობრივი პროგრამა, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 140100 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 127043,03 ლარი. 2018 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 140100 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 133739,66 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებდა 39 მედდის ხელფასს, ერთი მედდის თვიური ხელფასი შეადგენდა 250 ლარს, ანუ სულ წლირი ხარჯი 117000 ლარია, მედიკამენტების შეძენა სამედიცინო პუნქტებისათვის 15809,04 ლარი, დამხმარე სამედიცინო მასალების შეძენა 3176,2 ლარი, წნევის აპარატების შეძენა 1755 ლარი, გლუკომეტრის ტესტ ჩხირების შეძენა 2340 ლარი.

მეათე პროგრამა: „ეპილევსიით დაავადებულთა სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლისთვისაც ბიუჯეტით 2017 წელს გათვალისწინებული იყო - 24800 ლარი. 2017 წლის 31 იანვარს ქედის მუნიციპალიტეტსა და შპს „დაისი“-ს შორის გაფორმად ხელშეკრულება ეპილევსიით დაავადებულთა სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის ღირებულებით 20150 ლარზე. პროგრამის განხორციელებისათვის გაიხარჯა 17133,91 ლარი. 2018 წელს პროგრამის განხორციელებისათვის დაგეგმილი იყო 24800 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 17992,21 ლარი.

მეთერთმეტე პროგრამა: „ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო - 102600 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გაიხარჯა 100178,13 ლარი, 2018 წელს დამტკიცებული იყო 105000 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 104954,14 ლარი.

2017 წელს „ამბულატორიული მომსახურების პროგრამაზე“ დამტკიცებული თანხა, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამბულატორიის 9 ავტომანქანის საწვავის უზრუნველყოფისათვის (ბენზინის შეძენა) 34080 ლარი, 9 მძღოლის ხელფასი 32400 ლარი, ავტომანქანების მიმდინარე რემონტისათვის 7000 ლარი, ავტომანქანების დაზღვევისათვის 6120 ლარი, ელექტროენერჯის გადასახადი 2160 ლარი, გათბობის ხარჯი (შეშა) 5400 ლარი, მედიკამენტების შეძენისათვის 3960 ლარი, პროგრამის მართვის ხარჯზე 11480 ლარი. (2017 წლის ამბულატორიული პროგრამის ხარჯების შესახებ რეესტრი დანართი №1 სახით თან ერთვის.)

ამბულატორიული მომსახურების პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №87 განკარგულებით პასუხისმგებელ ორგანოდ განსზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. მაგრამ აღნიშნული პროგრამა სუბსიდირების ხელშეკრულებით გადაცემულია შ.პ.ს. „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ზე, რაც სამართლებრივად არასწორად მიგვაჩნია, რადგანაც პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური და ტენდერის გზით უნდა

განხორციელებულიყო პროგრამის გადაცემა და არა სუბსიდირების ხელშეკრულებით.

მეთორმეტე პროგრამა: „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 25400 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 19050 ლარი. 2018 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 77400 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 77300 ლარი.

მეცამეტე პროგრამა: „ჯანმრთელობის ზიანის რისკის შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის, რომელიც 2018 წლიდან ხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა.(ა.)ი.პ. დახმარების ეროვნული ფონდის მიერ. პროგრამის საერთო ბიუჯეტი იყო 29120 ლარი, საიდანა მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობის თანხა შეადგენდა 12700 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა და 2018 წელს ბიუჯეტით დამტკიცებული 12700 ლარიდან ათვისებამ შეადგინა 12255 ლარი.

მეთოთხმეტე პროგრამა: „პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ მიზნობრივი პროგრამა.

პარკინსონი თავის ტვინის ქრონიკული პროგრესირებადი დაავადებაა, რასაც ახასიათებს კიდურების უნებლიე მოძრაობა, კუნთების რაგიდობა, კორდინაციის და მეტყველების დარღვევა, გადაადგილების გაძნელება. ეს სიმპტომები ვითარდება 60 წლის შემდეგ, თუმცა ცნობილია შემთხვევები 50 წლის ქვემოთ ასაკშიც. დროთა განმავლობაში აღნიშნული დაავადების სიმპტომები მწვავედება და მძიმდება, რისთვისაც მიმართავენ მედიკამენტოზურ მკურნალობას.

აღნიშნული პროგრამისათვის 2018 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 11778 ლარი, ათვისებამ შეადგინა 10779,17 ლარი. წლის განმავლობაში ბენეფიციართა რაოდენობა იცვლეობოდა მათი საჭიროებებიდან გამომდინარე და საშუალოდ 19 ბენეფიციარს შეადგენდა.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა (ბატონი დ. თედორაძე):
  - მკაცრ კონტროლზე აიყვანოს „ამბულატორიული მომსახურების პროგრამით „გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვა, ასევე სისტემატურად აწარმოოს მონიტორინგი ამბულატორიის მედპერსონალის საქმიანობის (სამუშაოზე დროული გამოცხადების, მათ ტერიტორიაზე მყოფი ავადმყოფების დროული დახმარების გაწევისათვის, ავტომანქნების მიზნობრივ გამოყენებაზე და სხვა.) მიმართ.
  - ყოველდღიურ კონტროლზე იქნას აყვანილი სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა (სისუფთავის დაცვა, საკვები პროდუქტების ვარგისიანობა, მისი ხარისხის დაცვა, ბენეფიციარების გამოცხადება და სხვა.)

განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს ამორტიზირებული საცხოვრებელ სახლებზე სახურავის შეცვლის მიმდინარეობა, არ იქნას დაშვებული, რომ სხვა მიზნით იქნას გამოყენებული გაცემული თუნუქი, ამასთან ისე წარიმართოს მუშაობა თემებში მერის წარმომადგენლებთან ერთად, რომ მ/წლის ბოლომდე მინიმუმადე შემცირდეს ოჯახებზე გაცემული სახურავების გადახურვის საქმე.



6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი მოსაკრებლების ბაზის განსაზღვრისა და მოსაკრებლის ამოღების მიმდინარეობის აუდიტი.

საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ განსაზღვრავს ადგილობრივი მოსაკრებლის სახეს, ოდენობას, შემოღების წესსა და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს. აღნიშნული კანონით ჩამოყალიბებულია ადგილობრივი მოსაკრებლების სახეები, კერძოდ:

- 1) ადგილობრივი სანებართო მოსაკრებელი:
  - ა) მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის;
- 2) მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.
- 3) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.
- 4) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი.
- 5) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 22 მარტს მიღებული აქვს „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ №39 დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩნების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსაკრებლის განაკვეთი, გადახდის წესი და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება მოვალეობები.

კერძოდ, ქედის მუნიციპალიტეტში №39 განკარგულებით შემოღებული იქნა:

- ა) მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი და მისი ოდენობა განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის, რომელიც შეადგენს 0,7 ლარს.
- ბ) ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და მისი ოდენობა ერთ სულზე თვეში შეადგენს 0,15 ლარს, ხოლო იურიდიული პირების, ორგანოზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა შეადგენს მოცემული №1 ცხრისლის შესაბამისად.

ცხრილი №1

	იურიდიული პირები, ორგანიზაციები, დაწესებულებები	ზომის ერთეული (K)	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ <sup>3</sup> (N)	მოსაკრებ ლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი) (M)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.040	0.05
2	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.600	0.82
3	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.200	0.27
4	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები	ერთი სული	0.07	0.10
5	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.400	0.55
6	საბავშვო ბაგა-ბაღები, (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი სული	0.200	0.27
7	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხება)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	2.000	2.75
8	საავადმყოფოები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი საწოლი	0.309	0.42
9	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმების და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.14	0.19
10	სტადიონები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულების ღია ტერიტორიები და მანქები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.1	0.14
11	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.15	0.21
		საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.1	0.14
12	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.18	0.25
13	შერეული საქონლის მაღაზიები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.17	0.23
14	ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.320	0.44



15	შერეული საქონლის ბაზრობები	ერთი ადგილი	0.240	0.33
15	შერეული საქონლის ბაზრობები	დახურული ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.029	0.04
16	ავტოსადგომები	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.160	0.22
17	საწყოები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავეებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.160	0.22
18	ავტოგასამართი სადგური	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.12	0.16
19	მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები	ღია საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.080	0.11
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.160	0.22
20	ა/მანქანის სარემონტო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართი 1 მ <sup>2</sup>	0.040	0.05
		დახურული საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.160	0.22
21	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.320	0.44
22	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.440	0.6
23	მცირე სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	სამუშაო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.18	0.25
24	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.40	0.55
25	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.04	0.05
26	საცხოვრები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.18	0.25
27	კაზინოები ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	1.00	1.37
28	დისკოთეკები, ღამის კლუბები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.360	0.49
29	საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.160	0.22
30	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები ატრაქციონები	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.020	0.027
31	სამხედრო ნაწილები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერი ადგილი	0.600	0.82
32	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.020	0.027

33	სერიული პროდუქციის საწარმოს შენობა ნაგებობები (საწარმო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1 მ <sup>2</sup>	0.520	0.71
მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (M) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით				
$M=N \times C \times K : 12$				
N-ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში				
C-ღირებულება 1 მ <sup>3</sup> ნარჩენების გატანაზე, c=16,48 (ლარი)				
K-ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა, ადგილი, საწოლი)				

აღნიშნული ინსტრუქციიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა 2017-2018 წლების იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სია, რომელის შესახებაც მონაცემები დანართი №1-ის შესაბამისად თან ერთვის.

2017 წლის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად სულ აღრიცხული იყო 143 პირი, მათ შორის 8 შ.პ.ს., 11 სკოლა, 86 ინდემწარმე და 38 სხვა ორგანიზაცია. დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადი გაწერილი იყო სულ 45986,35 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გადამხდელების მიერ გადახდილი იქნა 25739.51 ლარი, ანუ 55,97%.

2018 წელს დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი იყო 46010,59 ლარი, 2017 წელს გადამხდელების მიერ გადახდილი იქნა 19269,08 ლარი, ანუ 41,87% და წინა 2017 წლის მაჩვენებლის მიღწევას დააკლდა 6470,49 ლარი.

2017-2018 წლებში დასუფთავების მოსაკრებელი გადაუხდელი დარჩა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს და ამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ №1-ში. დასუფთავების დავალიანებამ ორი წლის განმავლობაში შეადგინა 46988,35 ლარი, მაშინ, როცა აღნიშნული პიროვნებების ნაწილი მუშაობას აგრძელებენ 2019 წლის განმავლობაშიც.

მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლისათვის იყო 21 ობიექტი, რომელთა საერთო მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის ორი წლისათვის გეგმით შეადგენდა 10579,84 ლარს, საიდანაც 2017 წელს დასუფთავების მოსაკრებელი გადახდილი აქვს სამ ობიექტს 496,31 ლარი, ხოლო 2018 წელს იგივე სამ ობიექტს 398,04 ლარი. დარჩენილი დავალიანება ორი წლისათვის შეადგენს 9685,48 ლარს, სადაც დავალიანების სიდიდით გამოირჩვიან შპს „კოკოტაური“-ს საამქრო 6118,7 ლარით, შპს „მაია“-ს ხელმძღვანელი შუქრი ბოლქვაძე 451,8 ლარით და ი/მ მაია ბოლქვაძე 846,08 ლარით.

წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში მოსაკრებლის გადამხდელთა სიაში იყო 4 ობიექტი, მათ მიერ გადასახდელი ტერიტორიის

დასუფთავებისათვის მოსაკრებელი გეგმით შეადგენდა 810,8 ლარს, საიდანაც 2016 წლისათვის დასუფთავების მოსაკრებელი გადახდილი აქვს მხოლოდ წონიარისის საჯარო სკოლას 584,94 ლარი. წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში სულ ორი წლის დასუფთავების მოსაკრებელი 225,86 ლარი გადასახდელი დარჩა.

დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში რეგისტრირებული იყო 1 ობიექტი შ.პ.ს. „ბურჯი ინვესტი“ მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომლის წლიური ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი გეგმით შეადგენდა 685,57 ლარს, მაგრამ მას არცერთი ლარი არ გადაუხდია დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დასაფარავად და მისმა დავალიანებამ ორი წლის მანძილზე შეადგინა 1371,14 ლარი. დღეისათვის აღნიშნული ობიექტი აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს არ აქვს.

ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში იყო 3 ობიექტი, რომელთა წლიური ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გეგმა შეადგენდა 154,08 ლარს, საიდანაც ორი წლის მანძილზე გადახდილია 192,93 ლარი და დარჩენილია დავალიანება 115,25 ლარი.

პირველმაისის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად აღრიცხული იყო 4 ობიექტი, რომელთა წლიური ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი გეგმით შეადგენდა 550,93 ლარს, საიდანაც სამ ობიექტს ორი წლის მანძილზე გადახდილი აქვს 408,25 ლარი.

მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში რეგისტრირებული იყო 19 ობიექტი, რომელთა ორი წლის ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი გეგმით შეადგენდა 5719,25 ლარს, საიდანაც 7 ობიექტს გადახდილი აქვს ორი წლის მანძილზე 2227,88 ლარი და დარჩენილია დავალიანება სულ 3491,37 ლარი. დავალიანების სიდიდით გამოირჩვიან ობიექტები, კერძოდ: სასურსათო მაღაზია ი/მ „მზიური ბერიძე“ 321,36 ლარი, კაფე-ბარი ი/მ „თამაზ ესებიძე“ 197,76 ლარი, რესტორანი „ჭადრები“ 1054,72 ლარი, კაფე-ბარი ი/მ „გივი ჯაბნიძე“ 170,94 ლარი, კაფე-ბარი „ჯიხური“ ი/მ „ოთარ ჩხაიძე“ 316,42 ლარი.

დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში 2017-2018 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სიაში რეგისტრირებული იყო 77 ობიექტი, რომელთა ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი ორ წელზე შეადგენდა 40740,42 ლარს. ორი წლის მანძილზე 25 ობიექტის მიერ გადახდილი იქნა 16608,31 ლარი, ხოლო გადაუხდელი დარჩა 24132,11 ლარი. დავალიანების სიდიდით გამოირჩვიან შემდეგი ობიექტები: შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“- ღვინის ქარხანა 1371,44 ლარი, ბენზინ გასამართი სადგური შ.პ.ს. „აისი“ მირზა შარაძე 870,14 ლარი, ქედის პოლიციის განყოფილება 2089,66 ლარი, ქედის კულტურის ცენტრი 1838,94 ლარი, ქედის სასპორტო სკოლა ღია და დახურული ფართი 12880,11 ლარი, კაფე-ბარი ი/მ „ხვიჩა

მახაჭაძე“ 263,68 ლარი, ი/მ „მირზა გათენაძე“ ვულკანიზაცია 296,95 ლარი, აფთიაქი შ.პ.ს. „დაისი“ რუსიკო აბულაძე 243,24 ლარი, ი/მ „დავით გორგაძე“ სადალაქო 232,04 ლარი, ი/მ „თამილა თურმანიძე“ შერეული სახის მაღაზია 659,2 ლარი, ი/მ „ედუარდ ჯაყელი“ აფთიაქი 243,24 ლარი, სარიტუალო დარბაზი იაშა თედორაძე 263,68 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა 2017-2018 წლების სია არასრულია, რადგან მასში გამორჩენილია ობიექტები, კერძოდ: სოფელ ცხმორისში შოთა ნაკაშიძის ავტო შემკეთებელი ობიექტი, სულიკო გეგიძის სასადილო და ავტო მანქნის სამრეცხაო, ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში საკალმახე მეურნეობასთან არსებული კაფე-ბარი, დაბა ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებიდან გამორჩენილია ზაურ შავიშვილის სასტუმრო, ნუგზარ თედორაძის მაღაზია, პარტიების ოფისები (ოცნება, ნაციონალები, ...) ნუგზარ ბერიძის სადალაქო.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ გაკეთებულ ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლების გადამხდელთა სიიდან ამოღებულ იქნა გადამხდელთა ჯგუფი, რომელთა გადასახადებიც დარჩა ამოსაღები, რაც სამსახურის განმარტებით აიხსნება იმით, რომ ობიექტები არ მუშაობენ და შესაბამისად ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი ვერ ამოიღეს, ამის არცერთი დამადასტურებელი დოკუმენტი მათ არ აქვთ, რადგან არც ფიზიკურ და არც იურიდიული პირებიდან მათ მუშაობის შეჩერების თაობაზე არ აქვთ შეტყობინება მიღებული და არც საკრებულოს გადაწყვეტილება არაა მათი გადასახდელიდან შეჩერების და განთავისუფლების თაობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 22 მარტის №39 დადგენილებით მიღებულია, ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი, რაც ერთ სულ მოსახლეზე თვეში 0.15 ლარს შეადგენს. ამ დროისათვის ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღება არ წარმოებს, იმის გამო, რომ პრაქტიკაში არ არის დანერგილი და მოწესრიგებული.

მშენებლობის მოსაკრებლის გადახდაზე პასუხისმგებელი ორგანოა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, თუმცა აღნიშნულ სამსახურს ამ მხრივ კონტროლი არ აქვს დაწესებული, რადგანც მშენებლობის სანებართვო ლიცენზიას გასცემს არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური და გადასახადის ამოღებაზე კონტროლს ეს სამსახური უნდა ახორციელებდეს. აღნიშნული საკითხი შესასწორებელია ნორმატიულ სამართლებრივ აქტში.

2017 წლის მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1103,05 ლარი, რომელიც გადახდილია ათი პირის მიერ სხვადასხვა ობიექტის მშენებლობისათვის, ხოლო 2018 წლის შემოსავალმა შეადგინა 1404,58 ლარი, ცხრა

სხვადასხვა ობიექტის მშენებლობისათვის, მაშინ, როცა ამ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენდა გაცილებით მეტი ობიექტი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ნოემბრის №33 დადგენილებით შემოღებულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის გადაწყვეტილებით აუქციონის ფორმით და მისი მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა მიანიჭოს იმ ნებართვის მაძიებელს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და აუქციონზე ნებართვის გამცემ ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აუქციონის საწყისი ფასი გარე რეკლამის ნებართვისათვის ერთ კვადრატულ მეტრზე განთავსებისათვის განსაზღვრულია:

ა) დაბა ქედის ტერიტორიაზე -10 ლარი;

ბ) „საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებით განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრი არეალში (გზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს) -7 ლარი;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში არსებული დასახლებებში (გარდა დაბა ქედისა) -5 ლარი;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ დასახლებათა შორის არეალებში -3 ლარი;

გარე რეკლამის განთავსებისათვის ჯერ-ჯერობით თხოვნით არავის მოუმართავს და საკრებულოს მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული №33 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ყურადღების გარეშეა მიტოვებული, მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება გარე რეკლამის განთავსება. აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე კონტროლი უნდა განახრციელოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

1. ეკონომიკური განვითარების სამსახურმა:

– განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს სეზონურად მომუშავე იურიდიული და ფიზიკური პირებიდან დასუფთავების გადასახადის დროული ამოღების საქმე.

– საქმიანობა წარმართოს, ისე რომ მათ მიერ გაწერილი გადასახადები მაქსიმალურად იქნას გადამხდელეებიდან ამოღებული.

– ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად მოახდინოს სამუშაო შეჩერებული ობიექტების ან ახლად შექმნილი საწარმოების აღრიცხვა და მათზე კონტროლის განხორციელება.

– არ დაუშვას თვითნებურად გადასახადებიდან განთავისუფლებისა და შეღავათების გავრცელების ფაქტები.

– მოამზადოს და გააფორმოს ურჩ გადამხდელეებთან ხელშეკრულებები გადასახადების დროულად ამოღების მიზნით.

2. ეკონომიკური განვითარების სამსახურმა, მერიის იურიდიულ განყოფილებასთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისათვის ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის მიზნით მოამზადოს წინადადებები ადგილობრივი გადასახადების დროული გადახდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდისათვის.

3. არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურმა მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი და არ დაუშვას უნებართვო მშენებლობები ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამასთან ეკონომიკური განვითარების სამსახურთან ერთად იზრუნოს მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ამოღებისათვის.

4. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, ეკონომიკური განვითარების სამსახურთან ერთად ყოველდღიურ კონტროლზე აიყვანოს ადგილობრივი გადასახადების (მშენებლობის, გარე რეკლამის განთავსების, დასუფთავების მოსაკრებლის) ურჩი გადამხდელეებიდან გადასახადის გადახდევინების საქმე.

2017-2018 წლებში დასუფთავების მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი

№	გადამხდელის დასახელება	ობიექტის აღწერილობა	საკონტრაქტო მისამართი	დაბეჭდვის საზომი ერთეული	დასაბეჭდო მოცულობა	წარჩენის წილი დანერგვის წინ	წარჩენის გატანის ღირებულება	2017-2018 წლები				
